

1963



საქართველოს
თეატრის
საერთაშორისო
ფესტივალი

3 1963



ს თ ს

საქართველოს თეატრალური საზოგადოების
მ ო ა მ ბ ე

19 თბილისი 63
ივლისი, აგვისტო, სექტემბერი
№ 3 (25)



საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკის
სამეცნიერო განყოფილება

რედაქტორი—ნოღარ გუარაბანიძე

პ. მგ. მდივანი ლილი ლომთათიძე

საკრედიტო კოლეგია: დ. ანთაძე, შ. აფხაიძე, ვ. გოძიაშვილი,
ნ. გურაბანიძე, ო. ყვავიანი, დ. მჭედლიძე,
ბ. ქუციანი, ნ. შვანგირაძე, გ. ციციშვილი,
ა. ხორავე, დ. ჯანელიძე.

ახალი თეატრალური სეზონის პარსაპეტიკები

დაიწყო 1963/64 წლის თეატრალური სეზონი. ჩვენი რესპუბლიკის თეატრებში უკვე განვლილ სეზონშივე იწყეს მზადება ახალი რეპერტუარის შექმნისათვის. თეატრების სარეპერტუარო გეგმები გვაუწყებენ, რომ წელს რამდენიმე ახალ ქართულ პიესას ვიხილავთ, და რომ აფიშებზე გამოჩნდება დრამატურგიაში ჯერ კიდევ უცნობი სახელები.

თეატრალური სეზონი მხოლოდ მაშინ შედის ძალაში, როცა მაყურებელი პრემიერას ნახავს—ძველი რეპერტუარის გამოორება (რა მალაღმარებელია არ უნდა იყოს იგი) მხოლოდ ადგილზე ტყუანს ნიშნავს.

მართალია, ყოველი პრემიერა არ გულისხმობს თეატრის უმჯობეს წინსვლას, მაგრამ იგი იძლევა საშუალებას კრიტიკულად შევაფასოთ თეატრის მუშაობა და გავაკეთოთ საჭირო დასკვნები.

გასულ სეზონში საკმაო მასალა დაგროვდა ანალიზისა და პოზიციების გადასინჯვისათვის. ახლა ჩვენს რეჟისორებსა და თეატრალურ მოღვაწეებს მეტი საშუალება აქვს პრაქტიკული მოღვაწეობისა და კრიტიკული აზრის შემოწმებისათვის.

უკვე დადგმული სპექტაკლების მეტი ნაწილი გვარწმუნებს, რომ ქართული თეატრის რეჟისურა გაუბედავად ეძიებს ახალ თეატრალურ ფორმებს, იმეორებს თავის თავს. მეორეს მხრივ ძიების პრეტენზიით დადგმული ზოგიერთი სპექტაკლი უშთავრესად ძველი ხერხების რესტავრაციის ნიშნებს ატარებს. ხშირად ჩვენი რეჟისორები ამ გარემოებას ორიგინალური ქართული დრამატურგიის სისუსტით ხსნიან, მაგრამ კლასიკურ პიესებზე დადგმული სპექტაკლები მაინცდამაინც არ ბრწყინავენ ორიგინალობით.

უშთავრესი, მტკივნეული საკითხის რულფასიონი, თანამედროვე ქართული პიესების ნაკლებობაა. ახალი, ცოცხალი თემები,

ახალი ხასიათები ნაკლებად მკვიდრდება ჩვენს სცენაზე. ჩვენს პროზაში და პოეზიაში, არქიტექტურაში, მუსიკასა და სახვით ხელოვნებაში კარგი, სასიამოვნო ცვლილებები მოხდა. გამოისახველი ფორმების ძიებან, ახალმა შინაარსმა, ახალმა თემამ თვალსაჩინო და მშვენიერი შედეგები მოგვცა.

ქართულ თეატრსა და დრამატურგიას ეს ძიებანი სამწუხაროდ ნაკლებად შეეხო (ჩვენ მხედველობაში გვაქვს ამ ხელოვნების საერთო სურათი). თეატრი სინთეტური ხელოვნებაა და ხელოვნების ყოველ დარგში მომხდარი ცვლილებანი, ბუნებრივია, სწორედ აქ უნდა აისახოს.

რასაკვირველია გასულ სეზონებში მრავალი საინტერესო სპექტაკლი შეიქმნა, მაგრამ თეატრალური ხელოვნების საერთო მიმართულება, მისი საერთო დონე ჯერ არ დგას სათანადო სიმაღლეზე. მართალია ჩვენ გვყავს ძალზე ნიჭიერი რეჟისორები, მხატვრები და მსახიობები (მაღალ ხომ არ ვიმეორებთ ამ აზრს და ამით თავს ხომ არ ვინუგეშებთ ნაკლოვანებებზე ლაპარაკისას!) მაგრამ სპექტაკლებში ხშირად ცალკეული კომპონენტია უფრო ძლიერი (ერთი სქარბოზს მეორეს) და დარღვეულია პარმონიული სურათი.

ჩვენ არ უნდა გავიმეოროთ არა მარტო წარსულის შეცდომები, არამედ ის თეატრალური ფორმებიც, რომელთაც წარსულში გამოარჩევა და წარმატება ჰქონდათ, მაგრამ ხშირი გამოეორების გამო უკვე ტრაფარეტად იქცნენ. არა მარტო ადამიანის გემოვნება ცვალებადი, არამედ მისი მგრძობილობაც, ის, რაც ძველად ზოგჯერ მაყურებელს გულუწყველ, სენტემენტალურ გრძობებს უღვიძებდა, ახლა მხოლოდ ირონიულ განწყობილებებს იწვევს. ამის მშვენიერი მაგალითია „კეობი“ მარჯანიშვილის თეატრში. ეს ეხება თეატრალურ პირობითობასაც, რო-



მელიც თითქოს უფრო ნაკლებ ემორჩილება დროის ცვლილებებს. როცა ვლაპარაკობთ ახალ შინაარსზე აქ უნდა ვიგულისხმობთ ახალი ფორმის სცენური პირობითობა.

ჩვენს დროში მოხდა ტექნიკისა და მეცნიერული აზრის რევოლუციური განვითარება, შეიცვალა დროისა და სივრცის მასშტაბები, აგრეთვე ჩვენი წარმოდგენა მათზე, ძნელია რაიმე ფორმალური ტრიუკით ჩვენი მაყურებლის გაკვირვება, ძნელია აგრეთვე მისი

დაინტერესებაც. მას იზიდავს მძაფრეფრეზები, ციურობა, დრამა და სერიოზული განცდები, მორალური კატეგორიების ახლებური ინტერპრეტაცია, მნიშვნელოვანი, ფილოსოფიური აზრები.

მძაფრი ემოციურობა ქართული თეატრის და ქართველი მსახიობის ბუნებრივი მონაცემებია, და ეს მათ შესანიშნავად გამოუყენებიათ მრავალგზის.

ალ. სპენდიაროვის სახელობის ქავენიის ოპერისა და ბალეტის

ლენინის ორდენისანი სახელმწიფო აკადემიური თეატრის

საგასტროლო სპექტაკლების განხილვა

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ, 1963 წლის 27 ივნისს მოაწყო ერევნის ალ. სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო, აკადემიური თეატრის საგასტროლო სპექტაკლების განხილვა. დისპუტი გახსნა სსრკ სახალხო არტიტმა ვერიკო ანჯაფარაძემ.

ძვირფასო ძეგობრებო!

დღეს საქართველოს თეატრალური საზოგადოება ხვდება თავის საყვარელ სტუმრებს, ერევნის საოპერო თეატრის შესანიშნავ ხელოვანთ.

მე არ მჭირდება იმაზე ლაპარაკი, რომ ერევნის თეატრის გასტროლები დიდი წარმატებით მიმდინარეობს თბილისში, ვფიქრობ არ შეეცდები თუ ვიტყვი, რომ სომხები ყველაზე ახლობელი, ძვირფასი მეგობრები არიან ქართველი ხალხისა. მე პირადად ძალიან მიყვარს სომხები ხალხის დიდი ნიჭი — მუსიკის, პოეზიის, ფერწერის, თეატრის საშუალებით აღიქვამ ერის სულს, ოცნებას, გენიას და მომხიბვლელობას. თქვენი, თქვენი შემოქმედებით და ხელოვნებით ასახელებდით დღევანდელი სომხეთი და რა თქმა უნდა ეს დიდი საქმეა.


მიზანი თქვენი ვებერთელაა; დაიბადა ახალი ადამიანი, თავისუფალი, ლამაზი, ძლიერი, აი ამ ადამიანს უნდა ეძღვნას თქვენი და ჩვენი ხელოვნება. მე მინდა გისურვოთ ამ დიდ საქმეში წარმატებანი.

— მოხსენება თემაზე „საგასტროლო სპექტაკლები“ გააკეთა მუსიკათმცოდნე მირა ფინხაძემ,

თითქმის ერთი თვეა — დაიწყო მომხსენებელმა — ჩვენი ოპერის თეატრის სცენაზე მიმდინარეობს ერევნის ალ. სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის გასტროლები. დრო მართალია, მცირეა, მაგრამ საქარისი, იმისათვის, რათა შეგვექმნეს შთაბეჭდილება სომხურ თეატრზე და მის სიმფონიურ ორკესტრზე.

ჩვენი ინტერესი დასაწყისში გამოწვეული იყო ორიგინალური და მრავალფეროვანი რეპერტუარით. ეს ინტერესი შემდეგში გადაიზარდა აღფრთოვანებაში, რასაც იწვევდა ყოველი ახალი სპექტაკლი.

მომხსენებელმა სახგასმით ილაპარაკა იმ დიდ ენთუზიაზმზე, რომელიც თან ახლავს თეატრის კოლექტივს და დასმინა: მეტად სასიამოვნო იყო თითოეული შემსრულებლის ხილვა ყოველი სპექტაკლის შემდეგ. ისინი ყველანი გამოდიოდნენ სცენაზე რეცისორთან და დირიჟორთან ერთად, იგრძნობოდა, რომ ისინი ერთად ჰქმნიან დიად ხელოვნებას. მხოლოდ დიდი ენთუზიაზმის, ერთიანობის, შემოქმედებითი ფანტაზიის წყალობით შეიძლება საოპერო ხელოვნების ასეთ მაღალ დონეზე აყვანა.



სწორედ ედგარ ოგანესიანის შემოქმედებითა ძიებებმა განაპირობეს ის სანცტრესკო რეპერტუარი, რომელიც გააჩნია თეატრს.

მომხსენებელმა ილაპარაკა აგრეთვე საოპერო თეატრის ძარღვზე—სიმფონიურ ორკესტრზე, და მას კარგი შეფასება მისცა. თეატრს ყავს 5 დირიჟორი. მთავარი დირიჟორი სურენ ჩარქეიანი იგი ბრწყინვალე დირიჟორი და მუსიკოსია. ქართული საზოგადოება ამჟამად იმით, რომ მან ახალგაზრდობის წლები გაატარა თბილისში.

მეორე დირიჟორი ვახლავთ კატანიანი, რომელიც ვხიბლავთ შესანიშნავი საშემსრულებლო მანერით.

მომხსენებელმა კარგი შეფასება მისცა აგრეთვე დირიჟორებს დავითანს, სტუპნიანს, მირზოიანს, მთავარ ქორეოგრაფს კარაბეტიანს, მთელ სადადგმო ჯგუფს და მხატვრებს.

შემდეგ მომხსენებელმა კონკრეტულად ცალკეულ ოპერებზე ილაპარაკა: არმენ ტიგრანიანის „დავით ბეგი“ (დადგმა ვ. აჯგენიანის, დირიჟორი ი. დავითიანი, მხატვრები სარიანი და მირზოიანი) დაიწყო სავასტროლო სპექტაკლები, თეატრმა ეს ოპერა სიმხეთის შესანიშნავი წარსულის ისტორიას მიეძღვნა. ოპერა გზიზღავთ თავისი სისადავით, ეპიური დიდებულებით. ამ შესანიშნავ ოპერაში მღერის ერთი საუკეთესოთავან მამოღერალი—თათევიკ სახანდრანიანი, იგი უკვე დიდი ხანია რაც მღერის, მაგრამ დრომ ვერ შეინელა მისი პოეტური ტალანტი და სცენური მომზიბეფლობა, პირიქით, კიდევ უფრო გააღრმავა და გაამდიდრა მისი მრავალმხრივი ნიჭიერება. ყოველივე ამან განაპირობა ის თბილი მიღება, რომელიც თბილისელმა მაყურებელმა მოუწყო მას. ასევე გულთბილად მიიღო თბილისის საზოგადოებრიობამ თავისი ძველი ნაცნობი ნარა ოგანესიანი, რომელიც დიდი ხნის მანძილზე მღეროდა ჩვენს ქალაქში.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა ოპერა „ანუშ“ზე (კომპოზიტორი არმენ ტიგრანიანი). პოეტურმა „ანუშ“-მა სულ სხვა მხრიდან დაგვანახვა კომპოზიტორის ნიჭიერება. ოპერის ყოველივე ტაქტი ვხიბლავთ ნაციონალური კოლორიტით, მინაგანი პოეტური შესრულებით და უხილავი სევდით, რომელიც ეღერს „ანუშის“ მელოდიებში. გარეგნულად ძუნწი, მაგრამ გამომსახველ, კოლორიტული საშუალებებით არის დადგმული

სპექტაკლი (დადგმელები ა. გულაკიანი, ანანიანი, დირიჟორი რ. სტუპნიანი, რეპერტუარი ე. კარაბეტიანი). ბრწყინვალედ არის დადაწვევით მხატვრობა სპექტაკლში.

უქლებზე ყველა მომღერალი გატაცებით, ენთუზიაზმით, გულწრფელობით, თავდავიწყებული სიყვარულით ასრულებს თავის როლს, მღერის და თამაშობს სცენაზე. მინდა მხოლოდ გამოვიყო ახალგაზრდა მომზიბეფალი მომღერალი ვ. ვართანია.


შემდეგ მომხსენებელი შეჩერდა ჩუხაჯიანის ოპერა „არშაკ 11-ზე“ და სთქვა—მეფური დიდებულებით და ხნის სრული ყვარადობით ასრულებს თავის როლს მსახიობი ერკარი, შემსრულებელთაგან აღსანიშნავია ვ. გრიგორიანი, ა. არშტინიანი, მ. ჩიშკიანი, ა. პერვანი, რ. ზანურიანი და სხვები.

ერევნის თეატრის გამარჯვება იმაში მდგომარეობს, რომ ყოველ ახალ სავასტროლო სპექტაკლს ახალ-ახალი შთაბეჭდილებანი მიჰქონდა. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სტრავენსკის ოპერა „ოიდიპოს მეფემ“—შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ მუდმივ ძიებებს ახალისათვის, მხურვალე მისწრაფებას შემოქმედებითი დიპლომატიის გასაფართოებლად შეიძლო მიეყვანა თეატრი ისეთ თავისებურ და რთულ ნაწარმოებამდე, როგორც არის სტრავენსკის „ოიდიპოს მეფე“. აღფრთოვანებას იწვევს ის ფაქტი რომ ჩვენს ქვეყანაში ერევნის თეატრმა პირველმა დადგა სტრავენსკის ეს ურთულესი ოპერა.

მომხსენებელმა ილაპარაკა და კარგი შეფასება მისცა აგრეთვე სხვა სავასტროლო ოპერებსაც („ტრავიატა“, „ბალ-მასკარადი“ და „ოტელო“) და თავისი ყურადღება გაამახვილა ცნობილ მომღერალ სსრკ სახალხო არტისტ გ. გასპარიანზე.

მომხსენების დასასრულს მ. ფიხანძემ უსაყვედურო თეატრს, რომ ამ მეტად იშვიათ და ორიგინალურ სავასტროლო რეპერტუარში არ ქონდათ შეტანილი თანამედროვე სომეხი კომპოზიტორების ნაწარმოებები (გარდა „სპარტაკისა“). სომეხ ხალხს ჰყავს მეტად ნიჭიერი კომპოზიტორები და ძალიან დასანანია, რომ ჩვენმა საზოგადოებრიობამ ვერ მოისმინა ვერც ერთი თანამედროვე სომეხი კომპოზიტორის ნაწარმოები.

მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს ქართველ და სომეხ ხალხთა მეგობრობას. ჩვენ



თეატრების გასვლითი გასტროლები ერთ-ერთი მტკიცე საწინდარია ამ შეგობრობისა. დაე შემდგომში ასეთი გაცვლა ემსახურებოდეს ორივე ხალხთა მუსიკალური კულტურის გამდიდრებასა და აყვავებას.

შემდეგი მოხსენება თემაზე „საგასტროლო საბალეტო სპექტაკლები“ გააკეთა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა ეთერ გუგუშვილმა.

როგორც უკვე ითქვა—დაიწყო მომხსენებელმა,—დასასრულს უახლოვდება ერევნის ოპერისა და ბალეტის თეატრის გასტროლები და ჩვენ ვაჯამებთ შემოქმედებით წარმატებებს. მეტად საპასუხისმგებლოა რომ 4 საბალეტო სპექტაკლით, რომელიც წარმოდგენილი იყო გასტროლების დროს, ვავაკეთოდ შემაჯამებელი დასკვნები, მაგრამ იმდენად კარგად იყო შერჩეული რეპერტუარი და მსახიობები იმდენად კარგად და თავისებურად იყვნენ წარმოდგენილნი, რომ მეძლვება საშუალება ვიმსჯელო ამ საბალეტო სპექტაკლებზე.

შემდეგ მომხსენებელმა ილაპარაკა საერთოდ თეატრის საბალეტო ხელოვნებაზე და კონკრეტულად გადავიდა სპექტაკლების გარჩევაზე.

თუმცა „სპარტაკი“ ისტორიულია, კარგია, რომ ერევნის ოპერისა და ბალეტის თეატრმა აიღო ეს თემა და დადგა. ეს ბალეტი თავის სირთულით მდიდარ მუსიკალურ მასალას იძლევა არა მხოლოდ ქორეოგრაფიულ განვითარებისათვის, არამედ საბალეტო აზროვნებისათვისაც. რა არის დასამახსოვრებელი ამ ბალეტში? ბალეტი „სპარტაკი“ ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებია საგასტროლო სპექტაკლებიდან. აქ არის სიზუსტე, გარკვეული პოზიცია და გააზრება დამდგმელისა, ლაკონიზმი ზუსტი აზრებისა. სანახაობის თვალსაზრისით მეტად საინტერესოა სპექტაკლი, თავისი შინაარსით ეთანადურდება იმ ეპოქას, რომლის ვადმოქცემასაც მიზნად ისახავს კომპოზიტორი. ყოველივე ეს კარგად შერწყმულია მელოდიურობასა და ლირიულობასთან. სპექტაკლში არის ის ერთიანობა, რაზეც ლაპარაკობდა არისტოტელე—ერთიანობა ყველა მიმართულებისა, იქნება ეს მუსიკისა თუ ქორეოგრაფიის პლანში. ყოველივე ამასთან მთავარი ის არის, რომ ეს ბალეტი ხაზატურიანისაა, ეს არის ბალეტი კონტრასტებისა და მით არის ვადმო-

ცემული შინაგანი, ერთიანი მიმართება მთელი მოქმედებისა. ამის დანახვა შეუძლებელია ყოველ სცენაში.

მომხსენებელმა ბრწყინვალე შეფასება მისცა, აგრეთვე ბალეტ „სპარტაკის“ შემსრულებელთა და მოიწონა ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწის მხატვარ ა. მირზოიანის ნამუშევარი.


შემდეგ მომხსენებელმა ილაპარაკა სპექტაკლ „ზოლუშკაზე“, —მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარული ბალეტზე: მე მინახავს „ზოლუშკა“ ბევრ სხვა თეატრში, ყველაზე საუკეთესო შენსრულებელთა მონაწილეობით. (მხედველობაში შეავს გ. ულაოვა), მაგრამ არც ერთ იმ დადგმათაგან, დიდი თეატრის დადგმაც კი, მე არ მინახავს ასეთი თანამიმედურული, ეს ვახლავთ მთლიანი, ერთობლივი, დამთავრებული სპექტაკლი.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო „სამი ნოველა ბალეტის“ სპექტაკლს და სთქვა—ორგინალურად არის ჩაფიქრებული სამი პატარა ბალეტი როსინის „კუკულების სამეფოში“, რაველის „ესპანელი გოგონა“, გერშვინის „ნახვათა კვარტალი“. სამივე ეს ბალეტი ურთიერთ დამოკიდებულნი არიან, როგორც თემით, აგრეთვე გამომხატველობითი ხერხებით.

მე კიდევ მინდა ვილაპარაკო, ბალეტ „ბოლეროზე“. ჩვენი სპექტაკლი შედარებით უფრო სადღესასწაულო ფორმით არის გადაწყვეტილი, რომელიც ვითარდება სიუჟეტის გარშემო. ხოლო რაც შეეხება ერევნის თეატრის სპექტაკლს აქ ვითარდება სიუჟეტური ქარაზა, რომელიც ეთანადურდება რაველის მუსიკას.

ეს სპექტაკლი თავის ძლიერი, მკვეთრი ცეკვებით, მოძრაობითა და პლასტიკურობით მაყურებელზე დას შთაბეჭდილებას ახდენს.

მომხსენების დასასრულს ეთერ გუგუშვილმა სთქვა—ერთევის თეატრის საბალეტო სპექტაკლებში მე განსაკუთრებით მომხიბლა მისწრაფებამ თანამედროვეობისადმი. თუმცა მე დავიწყე იქიდან, რომ ამ თეატრში არ არის თანამედროვე თემაზე საბალეტო სპექტაკლები, გარდა „მოი დოდორისა“, მაგრამ ახლა მე ვლაპარაკობ ქორეოგრაფიაში გამომსახველობითი მეთოდის თანამედროვეობაზე, რომელიც იგრძნობა თითოეულ სპექტაკლში. ახალ ძიებებს, რა თქმა უნდა, მივყვართ



თანამედროვე თემაზე შექმნილ საბალეტო ხელოვნების განვითარებისაკენ.

ძირითად მოხსენებათა შემდეგ კამათში გამოვიდნენ მსახიობები, მუსიკისმცოდნეები, რეჟისორები. გამოსულმა ამხანაგებმა მრავალი საინტერესო აზრი გამოთქვეს და განავითარეს.

მოგვყავს სტენოგრაფიული მასალა:

„ამაღელვებელია ჩვენი სტუმრების ხელოვნება, ის დიდ ესთეტიკურ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე. დღეს სომხეთის დედაქალაქში სტუმრად იმყოფება ჩვენი ოპერისა და ბალეტის თეატრის კოლექტივი, რომელსაც ერევნის საზოგადოებრიობა დიდი გულისხმიერებითა და აღფრთოვანებით ხვდება.“

ამ ორი შემოქმედებითი კოლექტივის ასეთი დიდი მეგობრობა არის დიდი მოვლენა ისტორიულ სინამდვილისა, ჩვენი ცხოვრებისა. მე აღფრთოვანებით შემიძლია აღვნიშნო, რომ ამ თეატრის შესანიშნავი ფოკალური სკოლის წარმომადგენლებს თავისუფლად შეუძლიათ შეიღონ ევროპის თუ სხვა ქვეყნების საოპერო თეატრის კარები. ასეთებია: სახანდაირიანი, ვასპარიანი, ჩემი მეგობარი ნარიკ ოვანესიანი, ახალგაზრდა მომღერალი კარაპეტიანი. საუკეთესო დირიჟორად უნდა ჩითვალოს ს. ჩარეტიანი. არ შეიძლება ხაზგასმით არ აღინიშნოს შესანიშნავი მუსიკოსის ედვარდ ოვანესიანის შემოქმედება.“

ზ. ფალაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის კოლექტივი უსურვეს, შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს ჩვენს ძვირფას სტუმრებს, რომელთაც თავიანთი მაღალი ხელოვნებით დიდი სიყვარული დაიმსახურეს ჩვენი ქალაქის საზოგადოებრიობაში.“

საქართველოს სახალხო არტისტი ბ. კრავივი წილი.

„მეტად სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ შემოქმედებითი გამოცდილების გაცვლა თბილისისა და ერევნის თეატრებს შორის ტრადიციულად იქცა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ხნის მანძილზე ერევნის თეატრმა საგრანობი შემოქმედებითი ნაბიჯი გადადგა წინ, გაამდიდრა თავის რეპერტუარი მთელი რიგი კლასიკური სპექტაკლებით, ასეთი სპექტაკლები დაამყენებდა ჩვენი ქვეყნის ყველა თეატრს.“

მე მინდა კიდევ ერთხელ გადავუხადო მადლობა ერევნელ მეგობრებს იმ ესთეტიკური

სიამოვნებისათვის, რომელიც მათ მოგვიანქნის, მინდა მოვგესალმოთ ჩვენი კლასიკური ორის შემოქმედებითი კოლექტივის სახელითა და გამოთქვა ჩვენი სიერითო სურვილი: კიდევ მრავალჯერ გვიხილოს თქვენი სპექტაკლები ჩვენი საოპერო თეატრის სცენაზე.“

მუსიკისმცოდნე გ. ტ ო რ ა ძ ე.

„მე სასიხებით ვუერთდები იმ თბილ გამოსვლებს, რომელიც ეხება ამ შესანიშნავ კოლექტივს, მაგრამ მინდა ხაზგასმით გამოვთქვა ჩემი აზრი სპექტაკლებზე „ოდიშობის მეფე“ და „ოტილო“. უდავოა, რომ ამ ორი ნაწარმოების დადგმას აქვს პრინციპული მნიშვნელობა, არა მხოლოდ ერევნის საოპერო თეატრის განვითარებისათვის, არამედ სერთოდ საოპერო თეატრის განვითარებისათვისაც. დაბოლოს მინდა მადლობა გადაუხადო ამ სპექტაკლში მონაწილე ნიჭიერ მომღერლებს და კარგ მუსიკოსებს.“


მუსიკისმცოდნე ვ. გ უ რ ე ვ ი ჩ ი.

„არ შეიძლება არ აღინიშნოს ის შესანიშნავი შემოქმედებითი ზრდა, რომელიც განიცადა ერევნის სპენდიაროვის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრმა 1958 წლიდან დღემდე. უპირატესოდ აღინიშნება აპრობირებული ოპერა ა. ტიგრანანის „ანუშ“ აქედერდა სულ ახლებურად რაც დირიჟორ რ. სტეპანიანის უდავო დამსახურებაა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მომღერალი ვართანიანი, რომელმაც შექმნა მეტისმეტად მომზიბლადი სახე ანუშისა. მსახიობს განაჩია შესანიშნავი გარეგნული მიზანსცენები, თანამიმდევრული, ყველა რეჟისტრში ცოცხლად მელერადი ხმა.“

და ბოლოს მინდა კიდევ ერთხელ გავიმეორო, რომ ერევნის სავასტროლო სპექტაკლებმა დაადესტურეს ჩვენი სტუმრების დიდი შემოქმედებითი წარმატება.“

მუსიკისმცოდნე მ. ვ ა ჩ ნ ა ძ ე.

„ჩვენი საზოგადოებრიობა კარგად იცნობს ერევნის თეატრის სახელგანთქმულ კოლექტივს. მე არ ჩამოვთვლი იმ მსახიობთა გვარებს, რომლებიც წარმოადგენენ სამჭოთა საოპერო ხელოვნების სიამაყეს, მე ვიტყვი მხოლოდ, რომ უფროსმა თაობამ თავის ესტაფეტა გადასცა საიმედო ცვლას და რომ მას



ლირსეულად უჭირავს დროში სპენდიაროვის
სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრისა.

მე მინდა აგრეთვე ხაზგასმით აღვნიშნო
ბალეტმეისტერის ევგენია ჩანგას დამსახურე-
ბა ამ თეატრის საბალეტო ხელოვნების გან-
ვითარებაში და ეტყვა, რომ იგი არის ერთ-
ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი საბჭოთა
კავშირის საბალეტო ხელოვნებისა.


და ბოლოს მინდა გისურვოთ, რომ ხში-
რად ხდებოდეს შემოქმედებითი შეხვედრები,
კიდევ უფრო ხშირად ხდებოდეს აზრთა
გაზიარება. ყოველივე ეს ჩვენი ეროვნული
ხელოვნებისა და საერთოდ მთელი საბჭო-
თა ხელოვნების აყვავების საწინდარი იქ-
ნება“.

განხილვის დასასრულს თეატრის სახელით
სიტყვით გამოვიდა ედვარდ ოვანესიანი
ეტყვა:

ჩვენი თეატრის კოლექტივისათვის მეტად
საინტერესო იყო დღევანდელი განხილვის
შოსმენა. ეს მეტად საქმიანი და ობიექტური
შენიშვნები გათვალისწინებული იქნება ჩვენს
შემდგომ მუშაობაში. თეატრის სახელით
მინდა კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გადა-
ვუხადო თბილისის საზოგადოებრიობას იმ
ყურადღებებისათვის, რომელიც მან გამოიჩინა
ჩვენი საგასტროლო სპექტაკლების მიმართ.

განხილვა შეჯამა სსრ სახ. არტისტმა,
ვერიკო ანჯაფარიძემ.

სსრკ სახალხო არტისტი აკ. ხო რ ა ვ ა .



მომდინარე წლის ივლისში აზერბაიჯანისა და საქართველოს დედაქალაქების საოპერო თეატრებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი საოპერო და საბალეტო ხელოვნების მიღწევები. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა ერევანში სავასტროლო მოგზაურობის შემდეგ თავისი საუკეთესო სპექტაკლები ჩაიტანა ბაქოში, ხოლო ახუნდოვის სახელობის ბაქოს ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი თბილისს ეწვია. ბაქოს საოპერო თეატრმა თბილისელ მაყურებელს უჩვენა ოპერები: ჟ. ჰაჯინიკოვის „ქორალი“ და „ლეილა და მეჯნური“, ფ. ამიროვის — „სევილი“, პ. ჩაიკოვსკის „პიკის ქალი“, შ. ოფენბახის „გოფმანის ზღაპრები“, ზ. ჰაჯინიკოვის „აშული ყარბიბი“ და აგრეთვე ბალეტები — ყ. ყარაბეგის „შვიდი მზეთუნახავი“ და „ქუხილის ბილიკით“, ა. ბადალბეის „ქალწულის კოშკი“, ა. მელიქოვის — „ლეგენდა სიყვარულზე“, პ. ჩაიკოვსკის „გედების ტბა“ და სხვ.

29 ივლისს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირმა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ხელოვნების მუშაკთა სახლმა მოაწყეს ბაქოს საოპერო თეატრის სავასტროლო სპექტაკლების განხილვა.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ.

— უკანასკნელ ხანს, — განაცხადა ამხ. დ. ანთაძემ, — ტრადიციულად იქცა ჩვენი მოძველებული რესპუბლიკების დრამატული და საოპერო თეატრების გასტროლების ურთიერთ გაცვლა. ჩვენს დედაქალაქებში წელს ასეთი გასტროლები განმეორდა საოპერო და საბალეტო ხელოვნების დარგში. თბილისის საოპერო თეატრი ეწვია ერევანსა და ბაქოს, ხოლო ამ ქალაქების საოპერო თეატრები ეწვივნენ თბილისს. ბაქოს საოპერო თეატრი პირველად ჩამოვიდა ასეთი დიდი შემოქმედებითი კოლექტივითა და მრავალფეროვანი რეპერ-

ტურით. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ბაქოს საოპერო თეატრი ერთერთი ძლიერი შემოქმედებითი კოლექტივია მთელ საბჭოთა კავშირში. დღე, კვლავაც შეეჯიბრონ ერთმანეთს შემოქმედებითად ჩვენი სამი მოძველებული ხელოვნების მუშაკები, საოპერო ხელოვნების დარგში წინსვლისათვის და ახალ-ახალი მიღწევებისათვის...

სავასტროლო ტრადიციებთან ერთად ჩვენმა საოპერო თეატრებმა წამოიწყეს კიდევ ერთი კეთილშობილური და მეტად საჭირო ტრადიცია — ეს არის ოპერებისა და მსახიობთა გაცვლის ტრადიცია. მაგალითად ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი“, დაიდგა ბაქოში, სადაც მიწვეული იქნენ თბილისის სპექტაკლის მთავარი პარტიების შემსრულებლები. ხოლო ამავე ოპერის ბაქოს სპექტაკლის შემსრულებლები კი მოწვეულ იქნენ თბილისში. რატომ უნდა ასეთი ურთიერთგაცვლა ამ ორი ქალაქის საუკეთესო საოპერო ძალებისა დიდი კულტურული და შემოქმედებითი მოვლენაა, საჭიროა ასეთი მეგობრული ღონისძიებები მომავალშიაც გაგრძელდეს!...ახლა კი ნება მომეცით სიტყვა მოხსენებისათვის თემაზე: „პ. ახუნდოვის სახ. აზერბაიჯანის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სავასტროლო საოპერო სპექტაკლები“ შეიქცე მუსიკისმცოდნეს თამარ კვიციანიძეს.

— პირველ ყოვლისა, — განაცხადა თ. კვიციანიძემ, — მინდა აღვნიშნო, რომ მ. ახუნდოვის სახელობის ბაქოს ოპერისა და ბალეტის თეატრის გასტროლები დიდი მხატვრული მოვლენა იყო ჩვენი დედაქალაქის მცხოვრებთათვის. ჩვენი სტუმრების მიერ ჩამოტანილი საოპერო ხელოვნების ჩვენება ნამდვილ შეიშაწარმოადგენდა. ეს გასაგებიცაა, რადგან ჩვენი მოძველებული აზერბაიჯანელი ხალხის ხელოვნება ყოველთვის მახლობელი იყო და არის ქართველი ხალხისათვისაც.

თ. კვიციანიძემ მიმოიხილა აზერბაიჯანის საოპერო ხელოვნების განვითარების ეტაპები და შემდეგ დასძინა, — აზერბაიჯანის ოპერის



არც ისე დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი, როგორც საოპერო თეატრის კოლექტივი ჩამოყალიბდა 1908 წლიდან. მისი პირველი ეროვნული საოპერო წარმოდგენა ბაქოში იყო დიდი აზერბაიჯანელი კომპოზიტორის უზეირ ჰაჯიბეკოვის ოპერა — „ლილა და მეჯუნში“. აი, სწორედ აქედან იწყება აზერბაიჯანის კომპოზიტორებისა და პროგრესიული და მოაზროვნე მუსიკისმოკლდნეების შეუწყვეტელი შემოქმედებითი მუშაობა აზერბაიჯანული ეროვნული ოპერის შესაქმნელად, ხოლო შემდგომ კი საბალეტო ხელოვნების განვითარებისათვის ბრძოლა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში, არნახული სისწრაფით განვითარდა აზერბაიჯანში საოპერო ხელოვნება და ეროვნული საოპერო კადრების მომზადების საქმე.

დღეს ჩვენს წინაშე არის სრულიად ახალ-გაზრდა, მზარდი და ფართო შემოქმედებითი დიპაზონის მქონე საოპერო კოლექტივი, რომელიც გამოირჩევა თავისი საინტერესო-მრავალფეროვანი რეპერტუარითა და საშემსრულებლო ძალებით.

დღეს ბაქოს საოპერო თეატრის რეპერტუარს, გარდა კლასიკოსი კომპოზიტორებისა (უზეირ ჰაჯიბეკოვი, ზულფიგარ ჰაჯიბეკოვი, მუსლიმ მაგომაევი), ამჟღავნებს თანამედროვე კომპოზიტორთა ნაწარმოებები (ყარა ყარაევი, ფიკერტ ამიროვი, ა. ბადალბეილი, ჯანგირ ჯანგიროვი, აშრადი, აბასოვი, ელმირა ნაზროვა და სხვ.). ოპერის თეატრის სადირიჟორო ბულტთან დვანან გამოჩენილი კომპოზიტორი და დირიჟორი ნიაზი გასანოვი, კ. აბდულაევი, ისრაფილ—ზადე და სხვ.

ამას უნდა დაუმატოთ საუკეთესო საბალეტო ჯგუფი და შესანიშნავი ორკესტრი. ამ მხრივ ბაქოს საოპერო თეატრს შეუძლიან შეეჯიბროს საბჭოთა კავშირის რომელ საოპერო თეატრსაც გნებავთ.

ბაქოს საოპერო თეატრი იმიტომაც არის ძლიერი, რომ მის რეპერტუარს ამჟღავნებს ძირითადად ეროვნული ოპერები და ბალეტები, აღსანიშნავია, რომ ბაქოს საოპერო თეატრის ძირითადი ოპერები და ბალეტები დაწერილია თანამედროვე თემებზე.

დღეს მე მინდა შევჩერდე, მხოლოდ საოპერო საექსტაკლებზე. თეატრმა თბილისელ მყურებლებს უჩვენა თავისი საუკეთესო ოპერები: უ. ჰაჯიბეკოვის ცნობილი ოპერა „ქოროლი“, „ლილა და მეჯუნში“, ფ.

ამიროვის „სევილი“, ზ. ჰაჯიბეკოვის „აზერბაიჯანი ყარობი“, პ. ჩაიკოვსკის „პიკის ქალი“ ოფენბახის „გოფმანის ზღაპრები“, ამ ოპერებში გამოდიოდნენ და გამოდიან აზერბაიჯანის შესანიშნავი მომღერლები: მამედოვი-ბულბული, შევეტ ხანუშ მამედოვა, აბიგატ რზაევი, ა. ბუნიატ ზადე (ბარიტონი) ბ. მუსტაფაევი (ბანი) ი. რზაევი (დრაპატ). გუნისი ი. აგალაროვი (ლირ. ბარიტონი) აგრეთვე ახალი თაობის მომღერლები: ფ. მურადოვა, ფ. ახმედოვა, რ. ჯაბაროვა, რ. ატაქეივი, კ. მამედოვი, დ. კაფარიოვი, იმანოვი, მესტიევი და შრავალი სხვ.

მომხსენებელმა მაღალი შეფასება მისცა დიდი აზერბაიჯანელი კომპოზიტორის უ. ჰაჯიბეკოვის ოპერა „ქოროლის“. ეს ოპერა, განაცხადა კვირიკაძემ,—არის აზერბაიჯანული საოპერო ხელოვნების მწვერვალი. იგი ისეთივე ფუძემდებლური ოპერაა აზერბაიჯანისათვის, როგორც ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ საქართველოსათვის, ანდა „რუსლან და ლუდმილა“—რუსეთისათვის და სხვ. დაუფიქსარი სახეები შექმნეს ლიტერფიარ იმანოვა (ქოროლი), ფრიანგზ ახმედოვა (ნიგარ), ალაბა ბუნიატ ზადემ (გასან ხანი), ფერუდინ მესტიევა (გამაზბეკი), მამედოვა (მასხარა) და სხვ.

მომხსენებელი მაღალ შეფასებას აძლევს აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო არტისტ ნიაზის დირიჟორულ ხელოვნებას, რომელსაც „ქოროლი“ მიჰყავდა. ასეთივე მაღალი შეფასება მისცა მომხსენებელმა ოპერებს „ლილა და მეჯუნში“, „სევილი“ და „აშულ ყარობს“. მაგრამ, დასძენს მომხსენებელი,—რამდენადაც ბაქოელებს კარგად აქვთ დაძლეული თავიანთი ეროვნული ოპერები, ამის ვერ ვიტყვით „პიკის ქალსა“ და „გოფმანის ზღაპრებზე“.

ბაქოს საოპერო თეატრის საბალეტო სექტაკლების შესახებ მომხსენებით გამოვიდა რესპუბლიკის სახალხო არტისტი ლილი გვარამაძე.

—მე მხოლოდ ახლახან ვაგიგიე,—აცხადებს ლ. გვარამაძე,—რომ უ. ჰაჯიბეკოვის ოპერა „ლილა და მეჯუნში“, თურმე ქალის როლს მამაკაცი ასრულებდა!... ასე იყო ახლო წასულში—ყორანი უკრძალავდა ქალებს არა მარტო სცენაზე გამოსვლას, არამედ ქუჩაში უნადროდ გამოსვლასაც.

მაგრამ ყველაფერი ეს ისტორიას ჩაბარდა!... დღეს მ. ახუნდოვის სახ. ბაქოს ოპერ-



სა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი უმთავრესად აზერბაიჯანელი ქალებისაგან შედგება! განსაკუთრებით კი მისი საბალეტო ჯგუფი, დაუღალავი და ნიჭიერი ხელმძღვანელის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის თამარ (გამერ) აღმას-ზადეს მეთაურობით.

ჩვენ ბედნიერება გვქონდა გვენახა, — დას-ძენს ამხ. ლ. გვარამაძე, — ბაქოს საოპერო თეატრის ისეთი ბრწყინვალე საბალეტო სპექტაკლები როგორც არის: ყარა ყარაგვის „შივილი მზეთუნახავი“ და „ქუხლის ბლი-კითი“. ა. ბადალბეილის „ქალწულის კოშკი“, ა. მელიქოვის „ლეგენდა სიყვარულზე“ და პ. ჩაიკოვსკის „გედების ტბა“.

მომხსენებელმა მაღალი შეფასება მისცა თეატრის მთავარ ბალეტმეისტერს თ. აღმას-ზადეს ნამუშევრებს, რომელიც გარდა იმისა, რომ ბალეტების უმეტესობის დამდგმელია, ხშირად მთავარ როლებსაც ასრულებს. მაგალითად „ქალწულის კოშკი“ — გიულნი-აქის როლს ბრწყინვალედ ასსახიერებს. ასე-თივე მაღალი შეფასება მისცა მომხსენებელმა ა. მელიქოვის ბალეტს „ლეგენდა სიყვარულ-ზე“ — ნახში პიქეტის პიესის მიხედვით, (დამდ-გმელი რსდსრ დამსხ. არტისტი გრიგორე-ვიჩი), რომლის მხატვრული ვაფორმებაც ეკუთვნის რსდსრ სახალხო მხატვარს ს. ვირ-სალაძეს.

არ შეიძლება, — დასძენს ამხ. გვარამაძე — არ აეღნიშნათ საბალეტო ჯგუფის მაღალი საშემსრულებლო კულტურა. ამ მხრივ გამო-ირჩევიან — ლეილა ვევილოვა, რაფიგა ახმუნ-დოვა, მამედოვა, ლენსაია, აბასოვა, ბუტანი-ნა, ზულფუგაროვა, ბატაშოვი (სსრ კავ სახ. არტ.), მაქსუდ მამედოვი (რესპ. დამს. არტ.) ვაფიკოვი, გაჯიევი გასანოვი, ალიევი და სხვ. სასიხარულოა, რომ თეატრის საბალეტო სპექტაკლებს რეპერტუარიც ძირითადად ეროვნულია.

მომხსენებლის გარშემო გაიმართა აზრთა გაზიარება, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, რეჟისორმა ნიხ. კვალიაშვილმა, მუსიკისმე-ოდნე მ. იაშვილმა, სსრ კავშირის სახ. არტის-ტმა აკაკი ვასაძემ და საქ. სსრ კულტურის

სამინისტროს მუსიკალური ინსპექტორის უფროსმა, მუსიკისმეოდნე ანტონ წულუკი-ძემ.

ამხ. მ. კვალიაშვილმა მაღალი შეფასება მისცა ოპერა „ქოროლის“ და წინადადებ-ბა შემოიტანა, რომ ეს ოპერა, რომელშიც ასახულია აზერბაიჯანელი ხალხის გამარუ-ლი წარსული, ითარგმნოს და დაიდგას თბილისის საოპერო თეატრშიაც.

ასეთივე მაღალი შეფასება მისცა ორატო-რმა სხვა ოპერებსაც, ჩემი შიში „პიკის ქალი“-ს დადგმების გამო არ გამართლდა, — დასძენს იგი, თეატრის კოლექტივის სასახე-ლოდ უნდა ითქვას, რომ მან ეს ურთულესი ოპერა დასძლია, რასაც ვერ ვიტყვიტ „გოფ-მანის ზღაპრებზე“. ჩემის აზრით, — დასაყვის ამხ. კვალიაშვილი — შეიმღებოდა თეატრის სპექტაკლი „გოფმანის ზღაპრები“ არც ჩამო-ეტანა, რადგან შემოქმედებითად იგი არა-ფერს მატებს ამ შესანიშნავ, ნიჭიერ კოლექ-ტივს.

სიტყვაში გამოსულმა მუსიკისმეოდნე მ. იაშვილმა აღნიშნა, რომ აზერბაიჯანული საოპერო ხელოვნება, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა უზეირ ჰაჯიბეკოვმა, სწრაფი ნაბი-ჯით მიდის წინ და ყოველ ახალ სეზონში ახალი შემოქმედებითი მწვერვალებსაკენ მიიწევს.

აკ. ვასაძემ და ან. წულუკიძემ მაღალი შეფასება მისცეს ბაქოს საოპერო თეატრის საგასტროლო სპექტაკლებს. მათ სურვილი გამოთქვეს, რომ აზერბაიჯანისა და საქარ-თველოს ხელოვნების მუშაკთა შორის კვლავაც გაგრძელდებოდა ასეთი მეგობრული შემოქ-მედებითი შეხვედრები და მიღწევების ფარ-თო გაზიარება ურთიერთ სიყვარულში.

დასასრულს საბასუხო სიტყვით გამოვიდა მ. ფ. ახუნდოვის სახ. აზერბაიჯანის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დირექ-ტორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ნიოზი, რომელმაც მაღლობა გადაუხადა დამს-წრე საზოგადოებას, მომხსენებლებს და სიტყ-ვეებით გამოსულ ამხანაგებს ასეთი გულთბი-ლი შეხვედრისა და საქმიანი შენიშვნებისათვის.

სახელმწიფო დრამატული თეატრის ქართული დასი

საგასტროლო სპექტაკლების განხილვა

აქ 9—17 ივლისამდე თბილისში საგასტროლოდ იმყოფებოდა ცხინვალის სახელმწიფო თეატრის ქართული დასი, საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდენტი და კულტურის მუშაკთა პროფკავშირების ხელოვნების მუშაკთა სახლის გამგეობამ, აქ 16 ივლისს ხელოვნების მუშაკთა სახლში მოაწვეეს ამ თეატრის მიერ თბილისში საგასტროლოდ წარმოდგენილი სპექტაკლების განხილვა. განხილვას დაესწრნენ ხელოვნების და ლიტერატურის მოღვაწენი, პრესისა და ტელევიზიის მუშაკები.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდენტის თავმჯდომარის მოადგილემ გაიოზ იაკაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ცხინვალის თეატრის ქართული დასი ავრძელებს ქართული თეატრის სახელოვან ტრადიციებს. ეს შრომისმოყვარე და ნიჭიერი კოლექტივი არ ზოგავს ძალასა და ენერჯიას მაღალ იდეური და მალამხატვრული ქმნილებათა შესაქმნელად. დაბრკოლებათა და წინააღმდეგობათა შეუპოვარი დაძლევი კოლექტივმა საგრძნობლად გარდაქმნა მუშაობა. ამის ნათელი დადასტურება იყო ამ ნიჭიერი კოლექტივის გასტროლები თბილისში.

დედაქალაქის თეატრალურმა საზოგადოებრიობამ კარგად მიიღო ეს კოლექტივი, მოუწონა შემოქმედება.

„ჩვენ დარწმუნებული ვართ,— მიმართავს ამა. გ. იაკაშვილი კოლექტივს.— ძვირფასო მეგობარებო, რომ კვლავაც არ დაიშურებთ ძალასა და ენერჯიას ჩვენი ბრძნული პარტიისა და მთავრობის ზრუნვის საპასუხოდ, სკკპ ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შექმნე ყველაფერს გააკეთებთ კომუნისტური

საზოგადოების შესაფერისი მაღალ იდეური და მალამხატვრული სცენური ნაწარმოებების შესაქმნელად.

სიტყვა მოხსენებისათვის მიეცა ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, რეჟისორს ოთარ ალექსიშვილს.

მოხსენებელმა აღნიშნა, რომ ათ დღეს მიმდინარებდა ცხინვალელთა გასტროლები თბილისში. წარმოდგენილმა სპექტაკლებმა ნათელჰყვეს შრომისმოყვარე და ნიჭიერი კოლექტივის შემოქმედებითი სიმწიფე, უკანასკნელ წლებში თეატრმა საგრძნობლად გააუმჯობესა მუშაობა, მტკიცედ დამკვიდრდა თეატრში პროფესიონალიზმი. ამის უტყუარი დადასტურება გახლავთ ის ოთხი ახალი სპექტაკლი, რომელიც თეატრმა თბილისელებს წარმოუდგინა.

თეატრმა პირველ დადგმად უჩვენა ილია ჭავჭავაძის მოთხრობის ინსცენირება „სარჩობელაზედ“. ინსცენირების ავტორს ნ. ალექსიძეს და თეატრის კოლექტივს დიდი მუშაობა ჩაუტარებიათ ილია ჭავჭავაძის ამ ბრწყინვალე მოთხრობის დრამატული ფორმის შექმნისა და სცენური ხორცშესხმისათვის.

ინსცენირების ავტორი და სპექტაკლის დამდგმელი, თეატრის მთავარი რეჟისორი რ. შაფთოშვილი ლოგიკურად მიყვებიან ილიას მოთხრობის ძირითად ქარგას. რეჟისორის ჩინაფიქრი გამაზვილებულია და ორგანულად არის დაკავშირებული სპექტაკლთან შინაარსიანი პროლოგით და ეპილოგით (ილია ჭავჭავაძე კითხულობს ნაწყვეტს „არბილიდან“). რეჟისორული ხერხებით და გამოგონებლობით რ. შაფთოშვილი კარგად ავლენს ნაწარმოების დედააზრს და მის მხატვრულ თავისებურებებს.



სადაა მხატვრების გ. გაგლოევის და პ. კოხაევის დეკორატიული გადაწყვეტა. აუცილებელი დეკორატიული დეტალები რეალისტურ შთაბეჭდილებას სტოეგენს და მსახიობს თამაშის აუცილებელ პირობებს უქმნიან. კარგად არის გამოყენებული შუქ-ჩრდილების მონაცვლეობა. მკურნებელს არ ღლის სურათების სწრაფი ცვა.

აღსანიშნავია, რომ მხატვრულ-დეკორატიული გადაწყვეტის ერთი პრინციპი ახასიათებს შავთოვნილის მიერ დადგმულ სამეცხვეტაქოსს, თუმცა ისინი სხვადასხვა მხატვრების მიერაა გაფორმებული. ეს რეესისორის ერთიან მხატვრულ გემოვნებას მოწმობს.

მუნწია გ. ხაბალოვის მუსიკალური გაფორმება, მაგრამ იგი სპექტაკლის ორგანულ ნაწილად და მის აუცილებელ კომპონენტად წარმოგვიდგება.

სპექტაკლი ოთხ მოქმედებად არის დაყოფილი, რაც ერთგვარად აქიანურებს მას და უკარგავს სათანადო რიტმს.

მსახიობები დამაჯერებლად და რეალისტურად თამაშობენ, მაგრამ ზოგიერთ სცენაში მათი მოქმედება პასიურია და სპექტაკლის რიტმს არ შეესაბამება.

მსახიობი ვანო დარბუაშვილი დამაჯერებლად, გააზრებულად და ემოციურად ასრულებს ბეჟანის როლს. მისი ბეჟანი სწორედ ისეთი სახეა როგორც ილიას აქვს წარმოდგენილი. იგი სოციალურად ჯერ კიდევ მოუწმეფებელია, ეძებს გამოსავალს, პროტესტსაც აცხადებს, მაგრამ ეს პროტესტი უფრო პირადულია. თავის ძმასთან—ზაქროსთან შედარებით ის უფრო ვაჟკაცური, გამბედავი და თამამია.

ზაქროს როლი იმავე მოტივებზეა შექმნილი, რაზედაც ბეჟანის როლი, მაგრამ გრივად ქოქოევის ზაქროს უფრო გაუბედავი და გულუბრყვილია. ამ სხვაობას მსახიობი დამაჯერებლად გადმოგვცემს.

დიდის როლი სწორად და კარგად აქვს გაგებული თამარ ვასიფას. სპექტაკლში თანდათან იზრდება მსახიობის ემოციური ზემოქმედება, იგი განსაკუთრებული სიძლიერით გადმოგვცემს სასამართლოში შეილებთან შეხვედრის სცენას.

მსახიობი გრივად ბიქიკაშვილი (პეტრე) მთელი თავისი შესაძლებლობით გვიჩვენებს სიბოროტი და სიფაქობით აღსავსე გლეხს და მკურნებლის სიმპათიას იმსახურებს.

რესპუბლიკის სახალხო არტისტები წარმოადგენენ და დამაჯერებლად ასრულებს ბიქიკის მამინაცვლის—გიორგის როლს, რომელიც ფულის გულისათვის არავის არ ინდობს და მზად არის ფეხქვეშ გათელით ყველაზე წმინდა.

ილია ქავიავაძის როლს დიდი ოსტატობით ასახეირებს რესპუბლიკის სახალხო არტისტი ი. ცხვირაშვილი.

დასამახსოვრებელი და დამაჯერებელია ნუგზარი (მ. მიკიტრიანი) მზექალა (რ. პლიევა), ნაყაშიძე (ბ. ცხვირაშვილი), სასამართლოს თავმჯდომარე (დ. ყორანაშვილი), ლოშა (ზ. ვასიფე) და სხვა.

თეატრმა მეორე დადგმად წარმოადგინა მაინ რიდის „უთავო მხედარი“ (დრამატული კომპოზიცია დ. რუბინშტეინისა, თარგმანი ა. მამისთვალაოვისა).

დამდგმელი შავთოვნილი ამ სპექტაკლშიც თავის რეესისორულ პრინციპს არ დალატობს, გააზრებული რეესისორული ხერხებით ჰქმნის რეალისტურ, სათავადასავალო სპექტაკლს. რეესისორის შთანაფიქრის განხორციელებას ხელს უწყობს მხატვარ ვიქტორ ცერაძის გაფორმება, მისი საინტერესო დეკორაციები, მარტივი კონსტრუქციისა, სულ რამოდენიმე დეტალის გამოყენებით ჩვენს წინაშე იშლება რეალისტურად ასახული ცერაშვილი და სივრცე.

მელოდიური და კოლორიტულია რ. დემჩინსკის და დ. მალრადის მუსიკა.


კარგად არის დადგმული ეროვნული და სახალხოთო ტექსტები რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტის ხ. გაგლოევის მიერ.

პიესის მთავარი გმირის—მორის ჯერალდის როლს გააზრებულად და ემოციურად ასრულებს გრივად ქოქოევი. იგი გარეგნულად შესაფერისია ამ როლისათვის, მაგრამ მას ზოგჯერ დიქცია და ხმა დალატობს.

დამაჯერებელი და მრავალფეროვანია ვანო დარბუაშვილი კასიუსის როლში. იგი თამაშობს ბოროტსა და სიყვარულით გატაცებულ ადამიანს, საინტერესო სახეს ქმნის დამახასიათებელი ქცევებითა და შტრიხებით.

ნელი ვაშკიძე გულწრფელი და ლირიკული ტონით ასრულებს ლიუზას როლს. მისი ლიუზა ნაზი, სათნო, კეთილი და წმინდა სიყვარულით გატაცებული ადამიანია.

რესპუბლიკის სახალხო არტისტი იოსებ ცხვირაშვილი დუფის როლში გაიძევა, ხარ-



ბი და ფულის მოყვარული კაცის დასრულე-
ბულ სახეს ქმნის.

თბილი და უშუალოა საქართველოს სახალ-
ხო არტისტის ირ. შერაზადიშვილის ვულდი,
ზაურ გასიფემა საინტერესოდ შეასრულა
მუსტანგერების ყოფილი მეფის დინას რაინ-
დის სახე. მეორეებზე და გულუბრყვილო ახალ-
გაზრდას ჰერბის როლს კარგად ასრულებს
ოთარ ცერამე. ისიდორას როლს თამაშობს
რ. პლიევა, რომელიც ყველა სპექტაკლში
გამოირჩევა მსახიობური მონაცემების მრავ-
ალფეროვნებით. ფლორიდას როლს ემოციურ-
რად ანსახიერებს თამარ გასანოვა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ საინტერესო
სპექტაკლის მსვლელობას ხელს უშლის ვაცვე-
თილი რეჟისორული ხერხი — პერსონაჟთა
დარბაზიდან შემოსვლები, რაც მაყურებლის
ყურადღებას აწვლავს.

დასმა ნიჭიერად განახორციელა აგრეთვე
კ. კოპოუტის „როცა ასეთი სიყვარულია“
(დადგმა პ. შაფთოშვილისა, მხატვარი რ.
კიკნაძე).

რეჟისორი ამ სპექტაკლს ნათელი შემოქ-
მედებითი ხედვით, თანამედროვეობის გრძნო-
ბით, დახვეწილი გემოვნებით, მკვეთრი, თა-
ვისებური მხატვრული ხელწერით ახორციე-
ლებს.

საქართველოს სახალხო არტისტმა ირ. შე-
რაზადიშვილმა შინაგანი სიმართლით განა-
სახიერა მანტიამოსხმული კაცის, როლი და
შექმნა დამაჯერებელი სახე იმ ადამიანის,
რომელსაც უშეშარიტების აღმოჩენა ევალდება.
ლიდა მატისოვას მეტად რთული, ღრმა პოე-
ტური და უშუალო გრძნობით აღსავსე მარ-
თალი სახე კარგად განახორციელა ნ. ვაშა-
კიძემ.

მილან სტიბორის როლს ასრულებს ვ. დარ-
ბუაშვილი, ტოშეკის როლს — ი. ცხვირაშვი-
ლი, პეტრუსოვას როლს — ქ. მურჯიკიანი,
ოფიციალის როლს — დ. გოგინიაძე.

მიუხედავად იმისა, რომ მაყურებელმა გულ-
თბილად მიიღო თეატრის მეოთხე დადგმა —
რ. ხუბეციოვას და ვ. ხუგაევის „სოფლის სიმ-
ღერა“ (რეჟისორი — ხელ. დამსახურებული მო-
ღვაწე გ. კაბისოვი, მხატვარი ხელოვნების
დასმ. მოღვაწე თ. გაგლოევი, მუსიკა ხელ.
დასმ. მოღვაწის ს. პლიევის), მაინც ეს სპექ-
ტაკლი, ჩემის აზრით, სპექტაკლური მსჯე-
ლობის საგანი უნდა გახდეს.

მოსვენების ირგვლივ გამართულ კამათში
პირველი სიტყვა მოითხოვა თბილისის ოპე-

რისა და ბალეტის თეატრის მთავარმა მხატ-
ვარმა, ხელოვნების დამს. მოღვაწემ — ვარლო
კუკულაძემ, რომელმაც აღნიშნა: მე შეჩინდა
ბედნიერება მეორეთ შენახა ამ თეატრის
სპექტაკლები და გამოვთქვამ ჩემს სიხარულს
იმის გამო, რომ თეატრს პირველი შეხვედ-
რიდან, ე. ი. 1961 წლიდან დღემდე, დიდი
და ნაყოფიერი მუშაობა ჩატარებია. რეჟი-
სორისა და დანის ერთობრივი, ენერგული
მუშაობის შედეგია ის წარმატება, რომელიც
თეატრმა აქ, თბილისში მოიპოვა.

შემდეგ ამხ. კუკულაძე შეჩერდა სპექტაკლ-
თა გაფორმების ცალკეულ ნაკლოვანებებზე
და აღნიშნა რომ საჭიროა ვეცადოთ არ გა-
ვუბრალოთ მხატვრული ვადარმება, წინა-
აღმდეგ შემთხვევაში იგი გაუგებარი იქნება —
თეატრი კი ტრიბუნაა და იგი ვერ ითმენს
პრიმიტივის.


საჭიროა, დაასვენოს ამხ. კუკულაძე, რო-
გორც კულტურის სამინისტრომ ისე თეატრა-
ლურმა საზოგადოებამ მეტი კმედითი დახ-
მარება გაუწიოს ამ, მართლაცდა ნიჭიერ კო-
ლექტივს.

თავმჯდომარე სიტყვას აძლევს საქართვე-
ლოს სსრ კულტურის სამინისტროს წარმო-
მადგენელს, თეატრმეცოდნე მარგო გოგოლაშ-
ვილს, რომელმაც აღნიშნა, რომ თეატრში
იგრძნობა ახალის სიო, ლტოლვა თანამედრო-
ვეობისაკენ, ეს გასაგებია, თეატრი ხომ საქ-
მაოდ შეივსო ახალგაზრდობით, რეჟისორის
მუშაობამ დასთან და ცალკე-ცალკე მსახიობებ-
თან, თავის მხრივ მსახიობების მუშაობამ
თავიანთ თავზე, განაპირობეს რეალისტური
სპექტაკლების შექმნა.

მაგრამ აღნიშნული მიღწევები უნაკლოდ არ
ასრებობენ, მე მოველოდი, რომ მომხსენებელი
უფრო მეტი შემაჩივრებით და უფრო დეტა-
ლურად შეჩერდებოდა როგორც სპექტაკ-
ლებზე, ისე ცალკეულ შემსრულებლებზე.

ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ
რეჟისორმა ნიკოლოზ გოძიაშვილმა აღნიშნა:

— მე მინდა მოგახსენოთ, რომ ცხინვლის
თეატრს, როგორც ოსური ასევე ქართული კო-
ლექტივის მუშაობას კარგად ვიცნობ. ხშირად
მიხდებოდა ამ თეატრის წარმოდგენების, რო-
გორც მიღება, აგრეთვე მათ შემოქმედებით
განხილვაში მონაწილეობა, ცხინვლის ქარ-
თული დრამატული თეატრის გასტროლებმა
თბილისში ჩემზე დადებითი შთაბეჭდილება
დასტოვა. კოლექტივში ვხედავ მრავალ ახალ-



გაზრდას, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს გარს შემოიკრიბოს მზარდი შემოქმედებითი ძალები და ორგანიულად შეუთვისოს იგი თეატრის ძირითად ბირთვის, მეორე, მათ წარმოადგენებს ეტუობა ახალი იერი, ეს კი იმას მოწმობს, რომ შემოქმედებითი კოლექტივი არ ადგას ერთხელ გატყენილ გზას და ახლის ძიებაშია. ჩვენ, რასაკვირველია, უნდა მივსალმნოთ ამ მოვლენას და ხელიც შევუწყვათ. ამავე დროს უნდა ვურჩიოთ მათ, რომ მეტი სფეროთხილით მიუღებენ ამ საკითხს, რათა უკიდურესობაში არ გადავარდნენ და ყოველთვის ვაითვალისწინონ დადებითი, შემოქმედებითი ტრადიციები. აქ მომხსენებელი შეეხო მაინრიდის სპექტაკლის „უთავო მხედარის“ ზოგიერთ შემსრულებელს და ხაზი გაუსვა მოქმედების პარტერში გადატანის უვარგისობას. მომხსენებლის აზრს მეც ვიზიარებ. ჯერ ერთი, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ახალი არაა და მეორეც, ყველა პიესის დადგმა როდი ამართლებს მოქმედების პარტერში გადატანას. ამ შემთხვევაში სამწუხარო შედეგი ვეაქვს.

ერთი სიტყვიც, თეატრის კოლექტივს ეტყობა მისწრაფება რათა სათანადო მხატვრულ სემართლით ასახოს პიესაში მოკემული გმირთა სახეები და ეს თავის ნაყოფსაც იძლევა.

რესპუბლიკის სახალხო არტისტი პავლე ფრანგიშვილი ესაღმება თეატრის კოლექტივს და შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს უსურვებს.


— მე ბედნიერება მქონდა დასძენს ანხ. ფრანგიშვილი—ერთი წლის წინათ პრაქტიკულ მუშაობაში შევხვედროდი ამ შრომის-მოყვარე, ნიჭიერ კოლექტივს. იქ განვახორ-

ციელე მ. მრეელიშვილის „ხარატანთ იერი“ დიდი კმაყოფილებით უნდა ავლენებოდა შემოქმედებითი დისციპლინისა და ამასთანავე ინტენსიური სწრაფვის შედეგად ნიჭიერი კოლექტივი მაღალმხატვრული სპექტაკლით წარმოსდგა გასტროლებზე.

მე ვიცი მათი მონაცემებიც და მათი მუშაობის პირობებიც და ამ გამარჯვებისათვის მათ მადლობა ეთქმით და შექებას იმსახურებენ. თეატრალურმა საზოგადოებამ სამინისტროსთან ერთად, უფრო მეტი პრაქტიკული დახმარება რომ გაუწიოს ამ კოლექტივს, მაშინ შრომისმოყვარე კოლექტივის მღვდობარობა გაცილებით გაუმჯობესდება.

თავმჯდომარე სიტყვას ამღებს ცხინვალის თეატრის ქართული დასის სამხატვრო ხელმძღვანელს, ოეისიორს რემი შაფთოშვილს.

— ჩვენ უღრმეს მადლიერებას გამოვსთქვამთ ჩვენი სპექტაკლების ასე გულთბილად— შეიძლება პირდაპირ თქვას, მზობლიურად მიღების გამო. უდიდესი მადლობა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ჩვენი აქ საგასტროლოდ მოწვევისათვის — უღრმეს მადლობა თეატრალურ საზოგადოებას ჩვენი სპექტაკლებს განხილვის მოწყობისათვის. ჩვენი თეატრი ახალგაზრდა, მზარდი კოლექტივია, ეს რაც აქ ხშირად შეგობრებო, მხოლოდ დასაწყისია, ჩვენ შევეცდებით მაქსიმალურად გამოვიყენოთ ჩვენი უნარი, ნიჭი და შესაძლებლობანი. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ჩვენი კოლექტივი გახდეს ერთ-ერთი მოწინავე რესპუბლიკაში.



საქარია ფალიაშვილის სახელობის თეატრისა და ბალეტის აკადემიური

თეატრის გასტროლები ეკვანსა და გაქოში

1963 წლის თეატრალური სეზონის დამთავრების შემდეგ, ფალიაშვილის სახელობის თეატრისა და ბალეტის აკადემიური თეატრი, თითო თვით საგასტროლოდ ეწვია ერევანსა და ბაქოს.

პირველად თეატრი სომხეთის დედაქალაქს ერევანს ესტუმრა. დილის 6 საათზე მატარებელი ლოჯუნგებით მორთულ და ყვავილებით დამშვენებულ სადგურში შევიდა. ისმობდა მუსიკის საზეიმო ხმები. ყვავილების თაიგულებით ხელდამშვენებული პიონერები ვაგონებს მოაწვდნენ, სტუმრები ყვავილებით აავსეს და ვასასვლელებში ჩამდგარ ფოტორეპორტორებს, კორესპონდენტებს და შესახვედრად გამოსულ მშრომელებს შორის გაატარეს.

გაიმართა მიტინგი, ერთმანეთს სცვლიდნენ ორატორები. მიტინგის შემდეგ მსუბუქი მანქანების კოლონა სასტუმროეცისაკენ დაიძრა, თვითოეულ მანქანას ამშვენებდა ქართული წარწერა: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“.

30 მაისს ფალიაშვილის ოპერა „დაისით“ დაიწყო გასტროლები თბილისის თეატრისა და ბალეტის თეატრმა.

სპექტაკლის დაწყების წინ, სომხეთის კულტურის მინისტრმა გ. მარქარიანმა გულთბილი სიტყვით მიმართა სტუმრებს. საპასუხო სიტყვით გამოვიდა საქ. სსრ კულტურის მინისტრი თ. ბუაჩიძე, რომელმაც ჩვენი რესპუბლიკის მთავრობის სახელით გასტროლები გახსნილად გამოაცხადა.

მაყურებლებით გაჭედულ დარბაზში საზეიმოდ აცდერდა საბჭოთა კავშირის, სომხეთის და საქართველოს რესპუბლიკების ჰიმნები.

ოფიციალური საზეიმო ნაწილის შემდეგ დარბაზში საამოდ დაირბა „დაისის“ უფერტიურის ხმები.

სპექტაკლში მონაწილეობდნენ: მ. ამირანაშვილი (მარო), ნ. ანდლულაძე, (მალხაზი) პ. ამირანაშვილი (კიაზო) ა. მურადოვა (ნანა), ი. შუშანი (კანგალა) გ. ტორონჯიძე (ტიტო), მოციქვავეები: ა. დვალი, ვ. გუნაბილი, რ. მაჩაიძე.

სპექტაკლის შემდეგ შთაბეჭდილებათა წიგნში გაჩნდა პირველი ჩანაწერი:

„დიდი სიამოვნებით და მღელვარებით მოვისმინეთ ოპერა „დაისი“, ზ. ფალიაშვილს მშვენიერი. უკვდავი მუსიკა განსაკუთრებით კარგად ჟღერდა თეატრის ნიჭიერი კოლექტივის შესანიშნავი შესრულებითა, ჩვენ მოხარულნი ვართ და ვამაყობთ მოძმე საქართველოს რესპუბლიკის მაღალი ხელოვნებით“—

სომხეთის სკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. ზარობიანი.

სომხეთის სსრ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი თ. ბაღდასარიანი.

სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ხ. არუშანიანი.

სომხეთის სსრ კულტურის მინისტრი გ. მარქარიანი.

„დიდიხანია მე არ დავსწრებივარ თბილისის ოპერის თეატრის სპექტაკლებს. მით უმეტეს სასიამოვნოა მათთან შეხვედრა დიდხანის განშორების შემდეგ. მოხარული ვარ, რომ ბოლოს და ბოლოს შევძელი შენახა უკვდავი ბალეტი „ოტელო“.

ვ. ქაბუკიანის უჭკნობ და ოსტატობას და შესანიშნავ შეხმატკბილებულ ანსამბლს შეუძლია ყველაზე ნატიფი გემოვნებით ადამიანის დაქმყოფილება.





დიდი მადლობა საიამოვნებისათვის, ვისურვებთ ახალ შემოქმედებით წარმატებას, წერს ტიგრან პეტროსიანი—მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში.

თეატრის კოლექტივმა, მალაშხატარულ დონეზე ჩაატარა გასტროლები, მასინძლები განსაკუთრებით აღადროფანა ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა. პრესა და მაყურებელთა ჩანაწერები გამოხატავენ უდიდეს სიხარულს და დიდ სიყვარულს ქართული ხელოვნების მიმართ.

* * *

ერენის შემდეგ თეატრის კოლექტივი გაემართა ბაქოში და 3 ივნისს „აბესალომ და ეთერი“ გახსნა თავისი გასტროლები.

საინტერესო და სიყვარული ქართული ხელოვნებისადმი დიდი აღმოჩნდა. ბაქოელი მაყურებელი კარგად იცნობს პ. ამირანაშვილს ზ. ანჯაფარიძეს, ზ. კრავეიშვილს, ვ. ჭაბუკიანს, ზ. კიკალაიშვილს, ვ. ფიგანაძეს, ნ. ანდლუშაძეს, ლ. გოცირიძეს, თ. მუშუქლიანს, მ. ამირანაშვილს და სხვებს.

პირველ სპექტაკლში მონაწილე მსახიობებს დიდი ოვაციებით შეხვდნენ. ზ. ანჯაფარიძის უცხადლო მ. თაქაიშვილის ეთერმა, პ. ამირანაშვილის მურმანმა, ნ. ტულუშის მარეხმა და ლ. გოცირიძის ნათელამ საერთო მოწონება დაიმსახურა.

„მრავალი წლის განმარების შემდეგ, ბენდიერი ვარ ვიხილო ჩემი მშობლიური, ძვირფასი მეგობრები, ნიჭიერი ქართველი მომღერლები, ვუსურვებ მათ დიდ შემოქმედებით წარმატებას, დაე არასოდეს არ ჩამქარაიყოს მათ სულში პრომეთეოსის ცეცხლი“.

თეატრის შობამქმედების წიგნში ეს პირველი სამხსოვრო ჩანაწერი აზერბაიჯანის სხვა სხვა არტისტს ნინო ვეციას უკუთვინის.

„მე ისევ ველავდი კომპოზიტორ ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერის“, მოსმენისას როგორც ვაგნერის მუსიკის პირველი განცდის დროს“—წერს რუმინელი რეჟისორი ზომ მასინი.

ხანგრძლივი ოვაციები და შედახილები დიდხანს აყოვნებდა ფარდის დახურვას.

ბალეტ „ოტელოს“ წარმეტყველები ტრიუმფით დაგვირგვინდა, მეორე მოქმედებაში მაერიტანულმა ცეკვამ და მესამე მოქმედების ფინალმა განსაკუთრებით მოხიბლა მაყურებელი. არცერთ სპექტაკლზე იმდენი მაყურებელი არ ყოფილა, როგორც ბალეტ „ოტელოზე“, მაყურებელს ძლივს ტყვედა დარბაზი, შედახილები გაისმოდა ლოქებიდან, მარტრიდან, ქანდარებიდან.

„ვახტანგ ჭაბუკიანს ჩვენ ვიცნობდით, როგორც მსოფლიო მასშტაბის მოცეკვეცს, სასაიამოვო, რომ ახლა ვავიცანით როგორც დამდგმელი“—წერს პედაგოგი მამედოვა—მურადოვა.

ზ. ფალიაშვილის თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი 20 ივლისს ეწვია ბაქოს ს. ორჯონიკიძის რაიონის ნავთობის მრეწველებს, კულტურის სახლის დარბაზში ყვავილებით და ლოზუნგებით იყო მორთული.


„ძვირფასო მეგობრებო, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“—ლაშაში ქართული ასოებით ეწერა ერთ-ერთ ლოზუნგზე. ბაქოელი მენვათობები გულთბილად შეხვდნენ ქართველ მეგობრებს.

თეატრის კოლექტივი სტუმრად იყო აგრეთვე ბაქოს მრავალ საწარმოში, ენერგეტიკის სადგურში ე. წ. „მეგ ქვაბში“ მსახიობებმა გვირგვინით შეამკეს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ბულბულის საფლავი.

საინტერესო იყო ცნობილ მომღერალ ფატმა მუხტაროვასთან სტუმრობა. ფატმა მუხტაროვა უკვე ღრმად მოხუცებულია, 70 წელს გადაცილებული ქალი საკანძელს არის მიჯაჭვული, მხოლოდ მისი დიდი თვალები კვლავ ელაგენ ახალგაზრდულად. „გადაცივით ჩემ მშობლიურ თბილას ჩემ გულთბილი სალამი, უხხარით ყველას, რომ ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ნათელი დღეები დაქვემდებარებულია საქართველოსთან“.

ფატმა მუხტაროვამ თეატრის მუხუდებს საჩუქრად თავისი პორტრეტები გადასცა.

გულთბილ, მეგობრულ ფითარებაში ჩატარდა გასტროლები ერევანსა და ბაქოში. სომხები და აზერბაიჯანელები მთელი სულითა და გულით ავლენდნენ ქართველებისადმი დიდ სიყვარულსა და ძვირად მიაჩნდნენ.





სეზონის დასასრულს ახალი საფიქრალი და სასურუნავი უჩნდებათ თეატრებს, საქმე მარტო ახალი რეპერტუარის შედგენა როდია. სწორედ ამ პერიოდში თეატრები საგასტროლოდ გადიან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში, ხედებიან ახალ მყურებლებს და აქ თავიანთ ნამუშევართ ხელახლა ამოწმებენ.

რუსთაველის სახელობის თეატრი წელს ცოტა განსხვავებული სახით შეხვდა ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონის მშრომელებს. ეს განსხვავება რეპერტუარმა განსაზღვრა. თეატრს წელს „მცირე გასტროლი“ ჰქონდა, მაგრამ ეს უნდა გაევიოთ არა როგორც გასტროლების ხარისხის სიმცირე, არამედ მხოლოდ რეპერტუარისა.

რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექტივი ორ ჯგუფად გაიყო და ისე ეწვია საგასტროლოდ ჩვენს ქალაქებს, რაიონებს. ერთი ჯგუფი, რომლებსაც პ. კოპოლტის „როცა ასეთი სიყვარულია“ ჰქონდა რეპერტუარში, დასავლეთ საქართველოს ეწვია, მეორე კი — სანიკიძის „ქუთათურები“ — კახეთს, „როცა ასეთი სიყვარულია“ (რეჟ. მ. თუმანიშვილი, მხატვარი დ. თავაძე) საქაოლ გამზაურებული სპექტაკლია. წარმოდგენა ორასზე მეტჯერ წავიდა და ეს იმაზე მეტყველებს, რომ იგი ჩვენმა მყურებელმა შეიყვარა, გულწრფელად მიიღო მისი ჰუმანური და კეთილშობილური იდეა, განიცადა გმირთა ღრმა ფსიქოლოგიური ცხოვრება.

ამიტომ იყო, რომ სპექტაკლს დიდი ინტე-

რესით ელოდნენ ზუგდიდის, გეგეპორის, ცხაკაის, გალის, ფოთის, სამტრედიის, აბაშის, ხობისა და ოჩამჩირის რაიონის მშრომელები. ამ ინტერესის დადასტურება იყო მყურებლის საგვს აუდიტორიაც.

დასავლეთ საქართველოს რაიონებში პირველიდან ოხუთმეტ ივლისამდე გაგრძელდა გასტროლები და მასში მონაწილეობდნენ: მ. ჩახავა, თ. თარხნიშვილი, ს. ყანჩელი, გ. გეგეპორი, ბ. კობახიძე, გურ. სალარაძე, ლ. კეჭევიძე, რ. ჩხიკვაძე და დ. პაპუაშვილი.

ლ. სანიკიძის „ქუთათურები“ (რეჟ. დ. ანთაძე, მხატვარი დ. თავაძე, კომპოზიტორი რ. ლალიძე) ერთი სეზონის მანძილზე თითქმის ასჯერ იქნა წარმოდგენილი. სპექტაკლის დემონსტრირება კახეთის რაიონებში პირველიდან თექვსმეტ ივლისამდე გაგრძელდა. თელავის, გურჯაანის, ყვარელის და ლაგოდეხის რაიონებში ნაჩვენები იქნა 16 სპექტაკლი. მსახიობებმა არა ერთხელ უჩვენეს თავიანთი ხელოვნება კოლმეურნეებს (გეზისუბანი, გამარჯვება, ჩუმლაყი).

სპექტაკლში მონაწილეობდნენ: იმ. ხვიჩია, თ. ჩარკვიანი, ე. საყვარელიძე, ივ. ჯინჯიხაძე, ჯ. ლაღანიძე, კ. საკანდელიძე, რ. ჩხაიძე, ჯ. ძიძია, ნ. მარგველაშვილი, ს. ლალიძე, ე. დუგლაძე, კ. კავსაძე, გ. გოგავა.

რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე გასტროლები მეტად საქაოლ და სასარგებლო იყო, როგორც თვით თეატრისათვის, ისევე მყურებლებისათვის.

სოხუმი და გათუშვი

საიმა ზაფხულში განულო მის შემდეგ, რაც მარჯანიშვილ-ს თეატრი სავასტროლოდ ირ სწევია აფხაზეთსა და აჭარას.

გასტროლებს წინ უძღვოდა კარგა ხნის საორგანიზაციო პერიოდი. თეატრმა აღადგინა და განაახლა სპექტაკლები, კოსტუმები, დეკორაციული დანადგარები, მოამზადა და წარმოდგენებში შეიყვანა ახალი, დამატებითი შემსრულებლები.

თეატრმა სავასტროლო რეპერტუარის მკაცრი რეგლამენტირება მოახდინა. აქ შეტანილი იყო სხვადასხვა ჟანრის, სტილისა, დროის ამსახველი შვიდი პიესა. ეს ძირითადად ის რეპერტუარია, რომელსაც ერთ-სულზეა იმპონება ხედავდა 1962 წელს მოსკოვსა და რიგაში გამართულ გასტროლების დროს. თეატრის წლებადღეს გასტროლებსაც წარმატება ხედავდა წილად. ყოველ სპექტაკლის დამთავრების შემდეგ მაყურებელი მხურვალე ოვაციებს უმართავდა კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრის მსახიობებს, რეჟისორებსა და მხატვრებს. ყველგან გულითადობისა და სტუმართმოყვარეობის ატმოსფერო სუფიერდა. აჭარისა და აფხაზეთის რესპუბლიკური გაზეთები ფართოდ აშუქებდნენ გასტროლებს. ზოგჯერ მთლიან გვერდებსაც კი უძღვნიდნენ მას.

გასტროლები დაიწყო სოხუმში.

6 ივლისი გასტროლების პირველი დღე იყო.

ამ დღეს თეატრმა წარმოადგინა ქართული კლასიკური სპექტაკლების თვალმარგალიტი კ. გუცკოვის „ურიელ აქოსტა“. სოხუმელი მაყურებლები გულმხურვალეთ შეხვდნენ სცენაზე სსრკ სახალხო არტისტების ვერიკო ანჯაფარძის, ვასო გომბაშვილის, რესპუბლიკის სახალხო არტისტების პიერ კობახიძის, სანდრო ქორჭოლიანის, თამარ ჭავჭავაძის და სხვათა გამოჩენის. მიუხედავად უსიამოვნო შემთხვევისა (ამ დღეს საბედისწერო ტრაგედია მიიღო პ. კობახიძემ) წარ-

მოდგენამ შემოქმედებით აღმაველობით ჩაიარა.

ვაზეთმა „საბჭოთა აფხაზეთმა“ დოცენტ ო. ჭურულუიას ვრცელი რეცენზია მოათავსა 9 ივლისის ნომერში. რეცენზიის ავტორი ქებით იხსენიებს მთავარი როლების შემსრულებლებს, ხაზგასმით აღნიშნავს ამ სპექტაკლის იდეურ-მხატვრული ზემოქმედების ძალას და გამოთქვამს სურვილს, რომ იგივე სპექტაკლი კვლავ იხილოს სოხუმელმა მაყურებელმა, მაგრამ ამჯერად ახალგაზრდა თაობის მონაწილეობით.

7 ივლისს, გასტროლების მეორე დღეს, თეატრმა უჩვენა თანამედროვეობის თემაზე შექმნილი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დადგამა ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის — „მე ვხედავ მზეს“. სპექტაკლმა ცხოველი ინტერესი გამოიწვია სოხუმელ მაყურებელში. პრესა დადებითად გამოეხმაურა თეატრის დადგმებს და კოლექტივს გასტროლების წარმატებით გაგრძელება უსურვავ. შემდგომი სავასტროლო სპექტაკლი კი ა. კოინინის „კერპი“ (ბროუდის „ციხე სიმაგრე“) იყო. მაყურებელი ინტერესით ადევნებდა თვალყურს ბურჟუაზიული ყოფის ამსახველ სოციალურ დრამას, სსრკ სახალხო არტისტის ვ. გომბაშვილის ოსტატური თამაშს და სხვა. „კერპის“ — პარალელურად, იმავე დღესვე, კ. მარჯანიშვილის თეატრის აღმინისტრაციამ გასვლითი სპექტაკლი მოაწყო გალის რაიონში, ამ დღეს გალის მშრომელებმა ნახეს თეატრის ერთ-ერთი საუკეთესო დადგამა „მე, ბებია, ილაკო და ილარიონი“. თეატრმა გასვლითი სპექტაკლები მოაწყო აგრეთვე ოჩამჩირის („კერპი“) და ტყვარჩელის („მედია“) სარაიონ ცენტრებში. სტაციონარზე, სოხუმის დრამატული თეატრის შენობაში კი კ. მარჯანიშვილის თეატრი შეუფერხებლად და წარმატებით უჩვენებდა სავასტროლო პიესებს: მ. სებასტიანის „უსახელო ვარსკვლავს“, შექსპირის „რომეო და ჯულიეტს“



და ევრიბიდეს „მედვას“ და სხვა. განსაკუთრებული მოწონება ხვდა წილად ამ უკანასკნელ დადგმას. იგი შეფასდა, როგორც ქართული საბჭოთა თეატრალური კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოხაზავარი. პრემია აღფრთოვანებულ რეცენზიებს ათავსებდნენ იმ წარმოდგენის ირგვლივ.

...აქ ყველაფერი გააზრებულია და ყველაფერს ღრმა ფიქრის ბეჭედი ახის“ წერდა გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ რეცენზენტი „მედვას“ გამო. საოცარი ბუნებრივობით ერწყმის ერთმანეთს რეესორტები, აქტიორული და სახვითი კომპონენტები. გიტაკებთ ყოველი დეტალის მტკიცე პარამონიულობა. უყურებთ სპექტაკლს და გრძნობთ, რომ „მედვას“ შემქმნელებს არ დაუშურებიათ თავიანთი შემოქმედებითი ძალა, ნიჭი და ენერჯია.

ამიტომ არის „მედვას“ ასე პლასტიური, დინამიური და ამბლეგებელი... სახელოვანი თეატრის კოლექტივმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ იგი ეკლავ თავისი დიდი მასწავლებლის კოტე მარჯანიშვილის მიერ გაკვლეული გზით მიდის“.

სოხუმში მარჯანიშვილის თეატრის გასტროლები ჩაიდმეტ დღეს გრძელდებოდა. იგი შეუვასდა, როგორც მნიშვნელოვანი ფაქტი აფხაზეთის დედაქალაქის კულტურულ ცხოვრებაში.

21 ივლისი გასტროლების დამატევირგენიბელი დღე იყო. სოხუმის დინამოს სტადიონზე თავი მოიყარა ათასობით მაყურებელმა. ამ დღეს თეატრა აწყობდა გამოსათხოვარ საღამო-კონცერტს. მაყურებელთაგან გულდაწყვეტილი აღრაავინ დარჩა ყველას ქონდა საშუალება დასწრებოდა „მედვას“ ამას ემატებოდა მეორე, საკონცერტო განყოფილება, ესტრადის გამაჩნეილი ოსტატების, კ. მარჯანიშვილის თეატრის მსახიობების მონაწილეობით.

სოხუმის საფეხბურთო მოედანი თეატრის უზარმაზარ არენად იყო გადაქცეული. „მედვას“ დეკორაციულ დანადგარს პროექტორების მძლავრი შუქი ანათებდა. გარშემო ყველაფერი ღამის სიბნელეში იყო შთანთქმული. კომპოზიტორ აოჩილ ჩიმაკაძის მუსიკის ხმებმა დარღვევს გამეფებული დღემოლი, დაიწყო წარმოდგენა იმ პირველქმნილი და პირველყოფილ სახით, როგორც ამას ძველი ბერძნული თეატრი იცნობდა. „ექსპერიმენტი“

ტიმა“ თეატრისა და მაყურებლის ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სპექტაკლმა მარჯანიშვილის დიოზული შთაბეჭდილება დატოვა. ხმის გამამდიერებლებს მაყურებელთა ბოლო რიგებამდე გასავებად მიჰქონდა მსახიობთა უზარალო ჩურჩულიც კი. „მედვას“—ტრაგედია დიდ ცის ქვეშ სხვა მომხივლოებით გადაიშალა მაყურებელთა თვალწინ.


ეს იყო დიდი თეატრალური ძალისა და სიხარულის მომგვრელი სანახაობა, რომელიც წარმულეულ შთაბეჭდილებას ტოვებდა მაყურებელზე.

მეორე განყოფილებაში ის დეკორაციული დანადგარი, რომელზედაც ცოტა ხნის წინად თეატრის მსახიობები ევრიბიდეს ტრაგედიას თამაშობდნენ უკვე ესტრადის არენად იყო გადაქცეული. ამ აოჩნაზე კონცერტის კონფერანსიედ გამოვიდა რესპუბლიკის სახალხო არტისტი აიგერ კობახიძე. მან ნიჭიერად დაწერილი ლექსი — ექსპრომტი მიუძღვნა სოხუმის მაყურებელს, მარჯანიშვილის თეატრის მიმდინარე გასტროლებს და მისთვის ჩვეული გონებასახელობით თავიდანვე მხიარული და საჭირო განწყობილება შეიტანა აუდიტორიაში. კონფერანსიედ დროდადრო მაყურებელთა ტაშის გრიალში ესტრადაზე იხმოზდა ეერიკო ანჯაფარიძეს, ვისო გოძიაშვილს, სესილია თაყაიშვილს, სანდრო ჟორჯოლიანს, იაკობ ტრიბოლსკის, ტარიელ საყვარელიძეს და საესტრადო ხელოვნებაში გაწაფულ სხვა ახალგაზრდა მსახიობებს.

„სოვეტსკაია აფხაზიამ“ მთელი გვერდი მიუძღვნა თეატრის გასტროლების დამთავრებას.

1963 წლის სახაფხული გასტროლები ქ. სოხუმში ეს იყო კ. მარჯანიშვილის კოლექტივის შემოქმედებითი შეხვედრა, ახალ მაყურებელთან და თეატრის საუკეთესო სპექტაკლებს იდეურ-მხატვროული დონის შემოწმება! გასტროლებმა ბოლომდე გაამართალა თავისი დანიშნულება, როგორც თინანსილთა ისე მხატვროული თვალსაზრისით. მან შემოქმედებითი, ესთეტიური კმაყოფილება მოგვარა, როგორც თეატრს ისე თეატრალური ხელოვნების მოყვარე სოხუმის მაყურებლებს.

ორი დღის შემდეგ თეატრი საგასტროლოდ ეწვია ბათუმს. არა ნაკლებ სახასუხისმგებლო იყო ბათუმში მარჯანიშვილის თეატრის გასტროლები. კ. მარჯანიშვილს თეატრი ხომ სანახევროდ ბათუმის პირმშობა. კ. მარჯანი-



შვილის თეატრის ისტორია, მისი შემოქმედებითი ცხოვრება განუყრელია კ. ბათუმთან. კ. მარჯანიშვილის მიერ შექმნილი თეატრი ფაქტიურად ქუთაისისა და ბათუმის თეატრს წარმოადგენდა.

ქუთაისში პრემიერების დღეები ჯერ არ იყო ჩავლილი, რომ კ. მარჯანიშვილს თავისი თეატრის ახალი დიდგმები ბათუმში მოჰქონდა. თეატრს ყოველთვის დიდ სიხარულს გვრიდა ბათუმელ მაყურებელთა შეხვედრა. ყველამ იცოდა, რომ ამ ქალაქში მათ ელოდებოდა თეატრალური ხელოვნების დიდად მოყვარული და დამფასებელი საზოგადოებრიობა.

ეს სიყვარული თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაში ბევრ კარგ წამოწყების იმპულსად იქცა. მაგალითისათვის ჩვენ შეიძლება გავისხინოთ ქართული დრამატული ხელოვნების უბრწყინველესი ნიმუში პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, რომლის პირველი სცენური განხორციელება ბათუმში მოხდა.

ეს ქალაქი მომსწრეა იშვიათი, განსაკუთრებულმა მაგალითისა, როდესაც უმანგი ჩხეიძე ქუთაისიდან ბათუმამდე მატარებელში „ნახაწელი“ როლით იმპროვიზაციული ხელოვნების იშვიათი ნიმუში—ყვარყვარე თუთაბერის კლასიკური სახე შექმნა.

ბათუმი კ. მარჯანიშვილის თეატრის უსაყვარლესი ადგილია. ასევე სიყვარულითაა გარემოებული კ. მარჯანიშვილის თეატრი ამ ქალაქში. ეს სიყვარული თეატრის დაარსების პირველ დღიდანვე დაიწყო და დღემდე გრძელდება.

და აი, წელს უკვე მერვედ, თეატრი საზაფხულო გასტროლებზე ბათუმს ეწყვიდა. 23 ივლისს ქალაქის ნ. ვსადგურზე თავი მოიყარეს აჭარის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მუშაკებმა, პრესის და რადიოს თანამშრომლებმა ქალაქის მსკოვრებლებმა. ამ დღეს ისიბი ხედვებარდები საგასტროლოდ ჩამოსულ კ. მარჯანიშვილის თეატრის კოლექტივს, რომელმაც გემ „ადმირალ ნახიშვის“ მოჰყვებოდა.

პიონერებმა ცოცხალი ყვავილების თაიგულები შიართეს თეატრის მსახიობებსა და რეჟისორებს. ქალაქი გულშია თუშპართომოყვარებით შეივება საყვარელ თეატრს.

ვახუთმა „საბჭოთა აჭარამ“ სპექტაკლური გვერდი მიუძღვნა კ. მარჯანიშვილის თეატრის გასტროლების დაწყებას.

ამავე დღეს ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის შენობაში დაიწყო გასტროლები.

თეატრი უჩვენებდა კ. გუცკოვის „ურთელ აკოსტას“. წარმოდგენის დაწყების წინ მოეწე-

ყო ბათუმის დრამატული თეატრის მსახიობების მაყურებლებისა და კ. მარჯანიშვილის თეატრის კოლექტივის შეხვედრა.

სპექტაკლის დაწყების წინ სახელდახლოდ გამართულ შეხვედრაზე თეატრს გასტროლების დაწყება მიულოცა და აჭარის თეატრალური საზოგადოებრიობის სახელით მიესალმა რესპ. სახალხო არტისტი ი. კობლაძე, კ. მარჯანიშვილის თეატრის სახელით საპასუხო სიტყვა წარმოთქვა რესპ. სახალხო არტისტმა მედი ჯაფარიძემ.

საგასტროლო რეპერტუარის პირველსავე წარმოდგენას დიდი წარმატება ხვდა წილად. „ურთელ აკოსტას“ მოყვა დუმბაძის და გ. ლორთქიფანიძის „მე, ბებია, ილიკო და ილია-რიონი“, ეგერიძის „მედია“, ა. კრონინის „კეობი“, ზექსიანის „რომეო და ჯულიეტა“, ე. დუმბაძის და გ. ლორთქიფანიძის „მე გვებად მზეს“ და მ. სებასტიანის „უსახელო ვარსკვლავი“.


თეატრი პარალელურად უჩვენებდა გასულით წარმოდგენებს ჩაქვში („უსახელო ვარსკვლავი“); დაბა ბობოყყათსა და ახალშენში („კეობი“).

მარჯანიშვილის თეატრის გასტროლები ითხ ავეისტომდე გაგრძელდა. ამ ხნის მანძილზე თეატრმა უჩვენა თექვსმეტი წარმოდგენა და სპორტულ სტადიონზე ზოაწყო დიდი გამოსათხოვარი საღამო კონცერტი. 4 აგვისტოს გამართულ კონცერტის პირველ განყოფილებაში წარმოგენილი იყო ეგერიძის „მედია“. მეორე განყოფილება შედგებოდა საკონცერტო პროგრამისაგან. პროგრამა მიაყვება პ. კობახიძეს. მანვე წაიკითხა საკუთარი იუმორისტული ლექსი-ექსპრომტი.

როგორც კონცერტის ისე სპექტაკლს, რომელიც მრავალ ათასიან სტადიონზე ღია ცის ქვეშ გაიმართა, უდიდესი წარმატება ხვდა წილად. იგი ავეიგოვინდა თეატრის გასტროლებს და წარმატების ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენდა.

ადგილობრივი პრესა - სისტემატიურად ათავსებდა რეცენზიებს საგასტროლო სპექტაკლებზე, ვერცხად ჩერდებოდა მსახიობთა, თუ რეჟისორთა ნამუშევარზე და პირუთენელად კვალიფიციურად აფასებდა თეატრის გასტროლებს.

პრესისა და საერთოდ ბათუმის საზოგადოებრიობის გულისხმებრება კ. მარჯანიშვილის თეატრის გასტროლების მიუღ მანძილზე იგრძნობოდა.



საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში 30 სექტემბერს გაიხსნა ქურნალ „Театр“-ის მკითხველთა კონფერენცია. საზოგადოების პრეზიდიუმის თავჯდომარე დიდი ანთაძე შესავალი სიტყვით შეეხო ამ ქურნალის ღირსებებს, მის მიმართულებას, აღნიშნა იმ შეხვედრების მნიშვნელობა რასაც რედაქცია მართავს თავის მკითხველებსა და სარედაქციო კოლეგიის პასუხისმგებელ მუშაკთა შორის. ამგვარ შეხვედრებზე მუშავდება ქურნალის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

დ. ანთაძემ მოხსენებისათვის სიტყვა მისცა ქურნალის მთავარ რედაქტორს ვლადიმერ პიშენოვს.

ვლ. პიშენოვმა თქვა: საბჭოთა კავშირის ხალხთა ხელოვნებაში ქართული ხალხის თეატრალური ხელოვნება ნამდვილი თეატრალური ოსტატობის უმაღლესი გამოსახულებაა. ვუყურებთ და ვტკბებით უფროსი თაობის მსახიობთა შესანიშნავი ხელოვნებით, აღვრთოვანებული ვართ სოციალისტური საქართველოს ახალგაზრდა რეჟისორებისა და აქტიორების ნიჭიერებით, რუსი ხალხი, რუსი თეატრალური მოღვაწეები ყოველთვის გრძნობდნენ საქართველოს თეატრალური ხელოვნების კონტაქტსა და განუყოფლობას სოციალისტური კულტურის ყველაზე უფრო მოწინავე რაზმთან. ჩვენ გვგრძნობთ ერთობით შეგობობას, გვესმის ურთიერთისა, ერთად ვაშენებთ ერთ საერთო საბჭოთა თეატრს.

არ შეიძლება დაიწეროს საბჭოთა თეატრის ისტორია ისე რომ მასში დიდი ადგილი არ დაეთმოს საქართველოს თეატრალურ ხელოვნებას.

თბილისში ჩემი ყოფნის მოკლე დროის მანძილზე, ვნახე რუსთაველის, მარჯანიშვილის და მესხიშვილის სახელობის ქუთაისის თეატრების სპექტაკლები, ყოველივე ამან კიდევ ერთხელ დამარწმუნა თანამედროვე ქართული თეატრალური ხელოვნების ღრმა რეალიზმში, ხალხურობაში.

ქართულ თეატრს აქვს თავისი ხასიათი, ესთეტიკა, თავისი ხალხურობა, ტრადიციები. ეს კი მეტად მნიშვნელოვანი და სერიოზული საკითხია თანამედროვე თეატრალური ხელოვნების წინსვლისათვის.

რუსთაველის თეატრის სპექტაკლი „ფიროსმანი“ ძალიან დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. ნიჭიერი ოსტატის გამოცდილი ხელით იგი გადაწყვეტილია, როგორც ნამდვილი სახალხო გმირული დრამა, იგი პირველყოფლისა გვხვნილავს სცენის დიდი მხატვრის სერგო ზაქარაიძის მიერ შესრულებული ფიროსმანის როლით. ჩვენ დიდი სიამოვნებით ვნახეთ ეს სპექტაკლი, მოვიხიბლეთ მისი ანსამბლით, მაგრამ სანწყუხაროდ პიესა ისეა დაწერილი, რომ ხანდახან იფიქრებ დანარჩენ შემსრულებლებს და უყურებ მხოლოდ ძირითადი როლის განმსახივრებელს, სცენის უდიდეს ოსტატს—ზაქარაიძეს, რომლის როლი თავისი დიდი მხატვრული ელერადობით არაჩვეულებრივი მოვლენაა.

პიესა თავის პირველ ნაწილში შესაძლებლობას იძლევა ვაპალოს საზოგადოების ცხოვრება, აშუქებს სხვა ურთიერთობებსაც და ქმნის იმ კვანძებსაც, რომლებიც გვეხმარებიან უფრო ფართოდ შევიცნოთ მოვლენები. პიესის მეორე ნაწილი ნაკლებ საინტერესოა და დაწერილი და მას თავისუფლად შეიძლება ეწოდოს მელოდრამა.

სპექტაკლი ბრწყინვალედია გათამაშებული და რეჟისორულად მეტად საინტერესოდ დადგმული. მე მიმაჩნია, რომ ამ პიესის დადგმა, მიუხედავად იმისა, რომ მას აქვს ბევრი სუსტი ადგილი, სრულიად კანონზომიერი და მართებული მოვლენაა რუსთაველის სახელობის თეატრის ცხოვრებასა და ისტორიაში.

კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში ვნახეთ სპექტაკლი, რომელსაც ჩვენი ტერმინოლოგიაში „ძველი“ ეწოდება. ეს „კოლხეთის ციკარია“. იგი არაჩვეულებრივად ცოცხლად, საინტერესოდ და გულწრფელად ელერს. იძლევა წარმოდგენას ხალხზე და მის

ბრძოლებზე კოლექტიური მეურნეობის შექმნისათვის.

რეისორ გ. ლორთქიფანიძის ამ დადგინათვის შეიძლება გვეწოდებინა „ტრადიციული“ მაგრამ მისი ღირსება სწორედ იმაშია რომ სპექტაკლის სხვაგვარად გადაწყვეტის ძიება არ არის საჭირო, აქ არ არის რაიმე გამაგონილი ამბები, არ არის სიყალბე. შექმდე ვლ. პიპენოვმა გულსტიკივითი აღნიშნა, ჩვენს თეატრებს საერთოდ მოაკლდა მაყურებელი. ეს ვარემოება შეინიშნება არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს კავშირში.

შომხსენებელმა დადებითი შეფასება მისცა ოთ. ჩიჯვაძის პიესის „თეთრი ჩრდილების“ დადგმას ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახ. თეატრში.

ვლ. პიპენოვმა თავისი მოხსენების დიდი ნაწილი დაუთმო ჟურნალის მუშაობის თავისებურების დახასიათებას და მის მომავალ პერსპექტივებს.

„ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით ვხედვებით ჩვენი ჟურნალის მკითხველებს. ვცდილობთ ჟურნალი გავახადოთ საინტერესო არა მარტო წმინდა პროფესიულისთვის თელავაზრისით, არამედ მეთოდოლოგიურადაც. საჭიროა, რომ ჟურნალი იკითხებოდეს იოლად, რომ მასში იყოს ბევრი კარგი და საინტერესო სტატია, რომ არ გვიანდებოდეს რეცენზიები.

ჩვენ გვისაყვდელურებენ, რომ ჟურნალი არის არა საბჭოთა კავშირის არამედ მხოლოდ მოსკოვის. ცოცხა გამოტყეხილი სჯობია: როგორც არ უნდა გავიმართლოთ თავი ეს ძირითადად მართლაც ასეა, მაგრამ მოსკოვი ხომ დრამატურგის ლაბორატორიაა. იქ უფრო ადრე იღვწება პიესები ვიდრე სხვა რესპუბლიკებში. მოსკოვში იღვწებოდა ისეთი პიესები, რომლებიც ასე თუ ისე რეზონანს ღებულობენ მთელს კავშირში.

ჟურნალი მომავალშიაც განაგრძობს პიესების ბეჭდვას. ინსცენირებებით არ შეიძლება თეატრის წინსვლა, მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ თითქოს ეს ფუძეს უთხრიდეს ჩვენს დრამატურგებს, — ინსცენირებები კოველოვის ყოფილა და იქნება კიდევ. თქმა არ უნდა — თუ მოვიდა კარგი ინსცენირება, უნდა დაიდგას კიდევაც იგი.

ახალ წლიდან ჩვენი ჟურნალის ყურადღების ცენტრში იქნება დისკუსია, მიძღვნილი

აქტიორის პიროვნების ჩამოყალიბებისადმი, ახალგაზრდა მსახიობის აღზრდის საკითხებსა და.

გვენდა დისკუსია გავშალოთ არა მარტო ახალგაზრდა აქტიორის განათლების საკითხების გამო, არამედ ახალგაზრდა საბჭოთა აღმამაინების აღზრდის ირგვლივაც. გვინდა ყოველდღე ამას თავი მოუყაროთ რათა ნათელყოთ თუ როგორ ყალიბდება აქტიორის შემოქმედებითი ცხოვრება სცენაზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი დისკუსია დაინტერესებს უმაღლეს სასწავლებლებს. გვინდა ეს კამათი გავხსნათ ერთი რომელიმე პროფესორის გამოსვლით, რომელიც მღელვანად ილაპარაკებს თავის მოწაფეების შესახებ, მათ აღზრდაზე. დისკუსიაში ასევე მონაწილეობას მიიღებენ რეისორები, რომლებიც იტყვიან, თუ რა მიიღეს მათ ამ უმაღლეს სასწავლებლებში.

ახალი წლიდან ჩვენ გვინდა შემოვიღოთ აქტიორებისა და რეისორების სახელობითი სემინარები, ისე როგორც ეს 1930-იან წლებში ხდებოდა, საამისოთ მოსამზადებელი მუშაობა უკვე დაეწყეთ და მიემართეთ სათანადო ორგანიზაციებს.


ამას გარდა ვფიქრობთ დიდი მასალა მიუძღვნათ თეატრის საკითხებს. მართალია ჩვენ ბევრი თეორიული ხასიათის სტატია დავბეჭდეთ მაგრამ ყველა ისინი იყვნენ მშრალი, არასაინტერესო. უნდა დაიწეროს ისეთი წერილები, რომლებიც გაიტაცებენ მკითხველს.

ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება 1964 წელს დაიბეჭდოს ნემიროვიჩ-დანჩენკოს, ხმელიოვის, მარჯანიშვილის, ახმეტელის, კრუშელნიკის და სხვათა შემოქმედებითი პორტრეტები. ეს იქნება პორტრეტები ჩვენი სამამულო რეისორების ისტორიდან.

მკითხველებს უყვართ მემუარები, მაგრამ ავტორები ვერდებიან მემუარების წერას, ალბად შიშობენ მოუხუცებად არ ჩავთვალონ.

ჟურნალში დიდ ადგილს იჭერს „მუსიკალური თეატრი“. გვექნება სპეციალური განყოფილება „ბალეტი“. „Teatr“-ის მეათე ნომერში უკვე იბეჭდება ვენესლოვასა და ჰაბუ-ჩანის მოკონება ამერიკაში მათი ყოფიანა გამო. ეს ძალიან საინტერესოა მასალა.

მართალია ჩვენ არ ვეცდილებით ჟურნალ „ისტრადს“ და ცირკს“, მაგრამ მიგვაჩნია,



რომ ჩვენმა მკითხველებმა უნდა იცოდნენ ესტრადია. არ შეგვიძლია გვერდი ავუხვიოთ შტიოსოვის, ნაბატოვის, რაიკინის და სხვათა სახელებს*.

მომხსენებელი შეეხო აგრეთვე სახალხო თეატრებს და შეინშნა, რომ ჟურნალში მას მიეძღვნება მთელი განყოფილება.

ყოველი თითო ნომრის შემდეგ მოვათავსებთ მასალას უცხოურ თეატრებზე, ჩვენი მკითხველი დანტრერსებულთა უცხო თეატრით, რადგან იქ თეატრალური ხელოვნება ძალიან ქრელად ვითარდება. იქ არიან პროგრესული, ნამდვილად ბრწყინვალე აქტიორები და რეჟისორები, რომლებიც საინტერესოდ, რეალისტურ ყაიდაზე მუშაობენ. მაგრამ იქ ბევრი ცუდიც არის, სამაგალითოდ ავიღოთ „აბსურდის“ თეატრი ე. წ. ანტი-თეატრი, ამას, რა თქმა უნდა, გარკვევა უნდა. ჩვენი ჟურნალის მეცხრე ნომერში იბეჭდება სტატია თეატრ „აბსურდზე“ და საერთოდ ფრანგულ თეატრზე. ეს მეტად საინტერესო სტატიაა- ამით ჩვენ გვიღდა ვაჩვენოთ ჩვენი მკითხველებს თუ როგორ ვითარდება თეატრი კაპიტალისტური საზოგადოების პირობებში.

დასასრულ მომხსენებელი შეეხო ღირსშესანიშნავი თარიღების გაშუქებას „Teatr“-ში *ყოველ წელსადს აღინიშნება რომელიმე საინტერესო დატა. 1964 წელს უმნიშვნელო განესი თარიღი იქნება შექსპირის დაბადებიდან 400 წელი, რომელსაც აღნიშნავს ყველ აქვეყნის თეატრი და, რა თქმა უნდა, მათ შორის ქართული თეატრიც, რომელსაც შექსპირის განხორციელების დიდებული ტრადიცია აქვს. თქვენ ვყავთ შექსპირის როლების ისეთი ბრწყინვალე შემსრულებლები, რომლებიც არიან აკ. ხორავა, აკ. ვასაძე და სხვები. მე მიმაჩნია, რომ ზაქარიაძემ უნდა ითანაშოს შექსპირის გმირებია.

ქართული თეატრი ღირსეულად უნდა შეხედეს მსოფლიო თეატრალური ხელოვნების ამ დიდ დღესასწაულს. აქვე შევინშნავ, რომ ამ ბოლო ხანებში გაჩნდა ტენდენცია შექსპირის კომედიების დადგმისადმი უპირატესობის მიჩინებასა. მე ეს სწორედ მიმაჩნია, შექსპირის კომედიები ბრწყინვალედ ასახავენ ხალხის ცხოვრებას. ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ შექსპირი ისტორიულ დრამებსა და ტრაგედიებსაც წერდა. აქ თანაფარდობა უნდა დავიცვათ. თუ გადატვირთვით

თეატრი ტრაგედიაზე და 'ისხლით' შევსებული სცენა, ვფიქრობ, ამით ცუდ საქმეებზე გავუწვეთ შექსპირს. ასევე თუ განვისაზღვრებით მხოლოდ კომედიებით და არ ვავისვენებთ შექსპირის შემოქმედების მეორე მხარეს ესტრადი იქნება. ხელოვნებაში ყოველთვის საჭიროა ის ზომიერება, რომელსაც განსაზღვრავს ჩვენი მხატვრულ-ესთეტიკური ამოცანები.

მომხსენებელმა აუდიტორიის ყურადღება შეაჩერა აგრეთვე შეგჩენკოსა და ლერმონტოვის დაბადებიდან 150 წლის აღსანიშნავ დატებზე.

ვლ. პინენოვის მოხსენება დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი.

სიტყვით გამოვიდა პესარიონ ჟენტი. ჩვენ დღეს უნდა ვილაპარაკოთ ჟურნალ „თეატრზე“—თქვა ორატორმა, არა მარტო იმ ინტერესით, თუ როგორ უნდა შექმნებოდეს მასში ქართული თეატრის ცხოვრება და როგორ ლეზულობენ მასში მონაწილეობას ქართული კულტურის მუშაკები, არამედ იმაზე თუ როგორ იბრძვის ეს ჟურნალი საბჭოთა მრავალრიცხოვანი თეატრის წინსვლისა და განვითარებისათვის. ჟურნალი „თეატრი“ ძირითადი ორგანოა საბჭოთა თეატრალური პრესის, საბჭოთა თეატრალური კრიტიკის და ამ ჟურნალის კონკრეტულ მასალაზე უნდა განვიხილოთ საბჭოთა თეატრმცოდნეობის, საბჭოთა თეატრალური კრიტიკის საკითხები*.

ბ. ჟენტიმ თანამედროვე დრამატურგიისა და თეატრალური კრიტიკის საკითხებს, უნდა გვახსოვდეს, რომ კრიტიკის აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს, რომ ჩვენ ვაყალიბებთ მაყურებლის გემოვნებას და თუ კრიტიკა არა გულწრფელია, მაშინ ვაბნევეთ ჩვენი შემოქმედებით მუშაკებს. ვაღუწებთ მათ. ეს კი ხშირად მოგვდის, რაც ცოდვად აძვს, როგორც ჩვენს კრიტიკოსებს ასევე ჩვენს პრესას. ეს ნაწილობრივ ეხება ჟურნალ „თეატრსაც“. მასში იბეჭდება საინტერესო დისკუსიები, სტატიები დრამატურგიის შესახებ და სხვა, მაგრამ ჟურნალის ძირითადი მიზანი უნდა მდგომარეობდეს კრიტიკის სიმახლეში, მის ყურადღებას არ უნდა გამოეპაროს არც ერთი მომენტო, იგი უნდა იბრძოდეს ჩვენი ხელოვნების მაღალმხატვრულობისათვის.



მე მინდა—განავრძო ბ. ჟღერტმა, რომ ჟურნალი „თეატრი“ იყოს უფრო მწვავე კრიტიკის არენა, კრიტიკისა, რომელიც აღზრდის თეატრსა და ხალხს. მე მინდა, რომ ეს ჟურნალი არა მარტო ასახავდეს ხელოვნების მდგომარეობას არამედ იბრძოდეს კიდევ მის რუსულყოფისათვის, იბრძოდეს თემატიკისათვის. როდესაც თეატრებს მოეწოდებთ თანამედროვეობისაკენ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ თემატიკის ქვეშ იმალებოდეს უნიჭობა. ჩვენ სამწუხაროდ ხშირად ტყუის ვუკრავთ უფერულსა და საშუალოს ხელოვნებაში

ჟურნალი „თეატრი“ უნდა ამახვილებდეს ჩვენს შემოქმედებით აზრს, არ უნდა გვაძლებდეს მოდურებისა და თვითდამშვიდების საშუალებას. ამ თავალსაზრისით „თეატრმა“ უნდა გააცხადებლოს თავისი მიზანსწრაფვა.

ვეთანხმები იმ აზრს, რომ ჟურნალი არის მოსკოვის და არა საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკის, მაგრამ ახალი წლიდან მან უნდა გააერთიანოს მთელი ჩვენი ქვეყნის თეატრალური აზრი. როდესაც ჟურნალი დისკუსიას ვაშლის ამა თუ იმ საკითხზე, მაშინ მასალა აღებული უნდა იყოს არა მარტო რუსული ხელოვნების ცხოვრებიდან არამედ მრავალ ეროვან საბჭოთა კულტურიდან. ნუ გვიფიქვდება, რომ არც ერთი შემოქმედებითი საკითხი არ შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ რუსული თეატრის მასალით, მარტო რუსული ხელოვნებით. ჩვენი ხელოვნება მრავალფეროვანია, მავშტაბურია და როგორ შეიძლება ტრაგიკულია და რომანტიკული პრობლემა გადაწყდეს ისე, რომ არ გაითავალისწინოთ ქართული თეატრის გამოცდილება, ანდა როგორ იქნება სახალხო კომედიის პრობლემა გადაწყდეს ისე, რომ შეედევლობაში არ იქონიოთ უკრაინული თეატრი, დაიფიქვოთ კორნეიჩუკი? მართალია თქვენ ის გაუთხეხედველობაში, მაგრამ მის ფულსინხობთ როგორც რუს დრამატურგს.

აქ ამხ. პიმენოვა თქვა, რომ ჟურნალი უფრო მეტად მოსკოვის თეატრებს აშუქებს, იმიტომ რომ იქ არის დრამატურგიის ლაბორატორია. მართალია ეს ლაბორატორია არსებობს, მაგრამ იგი მხოლოდ რუსული დრამატურგიის ლაბორატორიაა. ქართული დრამატურგიის—კი თბილისშია და თუ თქვენ საბჭოთა კავშირის ჟურნალი ხართ მაშინ უნდა გქონდეთ საბჭოთა კავშირის ლაბორა-

ტორია, სხვა გვარად თქვენი ყურნალობა იქნება საბჭოთა კავშირის მასშტაბისა.

ჩვენში დაიბადა მრავალფეროვანი ხელოვნება, მსოფლიოს არც ერთ სხვა ქვეყანაში არ არის ასეთი ხელოვნება, სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი. ჩვენ ამით უნდა ვიამაყოთ და ჩვენმა ჟურნალმა სწორედ ეს უნდა უჩვენოს, მაგრამ სამწუხაროდ „თეატრი“ ამახე ნაკლებ ამახვილებს თავის ყურადღებას.

პიმენოვა კარგად იცის ქართული თეატრი, მან კარგად გაიგო ჩვენი სექტაკლების არსი, მაგრამ ძალიან რბილად თქვა მათი ნაკლოვანებების შესახებ, სწორედ ეს სირბილე გვიშლის ხელს მუშაობაში. ჩვენი თეატრები გვსაყვედურობენ, რომ თქვენ მწვავედ გვაკრიტიკებთ, მოსკოველები ეი გვაჭებნო, მით თქვენზე უკეთ იციანო თეატრი. მათ აფიქვდებათ, რომ არა ყოველმა მოსკოველმა იცის ქართული თეატრი ქართულ კრიტიკოსზე უკეთ, ეს ხშირად გვიშლის ხელს მუშაობაში. არ გვინდა შეღავათები იმის გამო, რომ ქართული ეროვნებისა ვართ. ჩვენ თანაბარ და არა მანებულ ლაბარაკს მოვიხოვოთ.

ჩვენ ვაკრიტიკებთ ჩვენს თეატრს, მაგრამ ვიცით, რომ იგი არ ჩამოუვარდება არც რუსულსა და არც უკრაინულს. მოდით ამხე გილაბარაკით ხმამილა, ყოველგვარი შეღავათების გარეშე. გველაბარაკეთ, როგორც დიდი ეროვნული ქართული კულტურის წარმომადგენლებს, როგორც მთელი მრავალფეროვანი საბჭოთა თეატრის ერთ შემადგენელ ფაქტორს.

რამდენადაც მეტად წამოგვიყენებთ პრეტენზიებს მით უფრო აქტიურად ვიბრძობებთ ჭეშმარიტი ხელოვნებისათვის, რათა იგი მირნათლად ემსახუროს ისეთ დიდ საქმეს, რომლისთვისაც ივია მოწოდებულია.

ბ. ჟღერტის შემდეგ კონფერენციის თავმჯდომარემ სიტყვა მისცა რუსთაველის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს დიმიტრი ალექსიძეს, რომელმაც მოიყვანა ფაქტები ქართული თეატრის ისტორიის დამხინჯების ჩვენს პრესასა და პერიოდიკაში.

დ. ლექსიძემ ჟურნალ „თეატრის“ მიმართ გამოთქვა საყვედური, რომ მის ფურცლებზე გაშლილი დისკუსია დრამატურგიის საკითხზე არ იდგა სათანადო სიმაღლეზე. მასთანვე ორატორმა შემოიტანა წინადადება, რომ



ნოსკოვიმ მოეწყო საბჭოთა კავშირის მწერ-
ლობის წარმომადგენლების შეხვედრა რეი-
სორებთან და მსახიობებთან, „შეხვედეთ და
ვილაპარაკეთ გულახდილად. თეატრი წარმო-
უდგენილია, — განაცხადო ალექსიმემ — იდისა
და აზრის ვარემე, სულიერი სამყაროს,
ადამიანური ფსიქოლოგიის გაშლის ვარემე,
აი ყოველივე ამის შესახებ უნდა იწერებოდეს
ჟურნალ „თეატრში“.

ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ,
დირიჟორი ჯანელიძემ უსაყვედურა ჟურნალს
ინის გამო, რომ დღემდე მან არ ვანიხილა
„თეატრალური ენციკლოპედია“, რომელშიაც
დაშვებულია მრავალი შეცდომა. „მაგალი-
თად, ჩვენ ვწერთ — და ეს ისტორიული ფაქ-
ტია, — რომ საქართველოში ქრისტიანობა
მიიღეს IV-საუკუნეში, იქ კი ნაცვლად IV-ისა
დაბეჭდეს XIV საუკუნე.

ჟურნალში უნდა იბეჭდებოდეს ისეთი სტა-
ტიები, რომლებიც განაზოგადებენ გამოცდი-
ლებას, მე ვგულისხმობ იმ დიდ ტრადიცი-
ებს, რომლებიც შეიქმნენ ჩვენს თეატრებში.
ისინი ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ, გავავითა-
როთ, უნდა ვწეროთ იმაზე, რომ ყველა შე-
მოქმედებით კოლექტივს თავისი წვლილი
შეაქვს დიდ სოციალისტურ ხელოვნებაში“.

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა
ვიქო ანჯაფარიძემ თქვა: „ოფიციალურად
არსებობს აზრი, რომ ჩვენ, იდეოლოგიურ
მუშაობაში მარჯვენა ხელი ვართ, რეალურ
ცხოვრებაში კი ასე როდია. თეატრმა უნდა
აღზარდოს ახალგაზრდობა, მაგრამ სამწუხა-
როდ ამ მხრივ ჩვენი თეატრები ვერავითარ
კრიტიკას ვერ უძლებენ, ვფიქრობ ამაში
დამნაშავეა ჯერ კიდევ შემორჩენილი ძველი
დამოკიდებულება თეატრისადმი. ის რაც იყო
გუშინ, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება
გამოდგეს დღევანდელი მავურებლისათვის.
რა თქმა უნდა ხელოვნება უშუალოდ ვერ
გადმოგვცემს იმ უზარმაზარ ძვრებს და
ცვლილებებს რაც ხდება მეცნიერებასა და
ტექნიკაში, მაგრამ ძვრებს ახდენენ ადამიან-
ნი და ამ უბრალო ადამიანების ხასიათები
უნდა აფასებოთ. უნდა გავხსნამ ადამიანე-
ბის შინაგანი ცვლილებები.

მომხსენებელმა შენიშნა, რომ დრამატურ-
გებმა ჟურნალის რედაქციიდან პიესები უკა-

ნვე წაიღეს, რათა ისინი უკეთ გააქვეყნებინათ
არ მაქვს ამის დიდი იმედი. დღეს უნდა შევქმნი-
ლაც აღარ იწერება ძლიერი პიესები თანა-
მედროვე თემაზე. ამ პიესების მიხედვით
ადამიანები დაწვრილმანდნენ, ისინი არაევი-
თარ გრანდიოზულს არ ქმნიან, არ აზროვნე-
ბენ დიდი მასშტაბებით. ჟურნალი „თეატრი“
კი ასეთი საკითხების მიმართ არ ამჟღავნებს
დიდ მღელვარებას, ფორმალურად ეკიდება
ამ საქმეს, ყოველივე ის შესანიშნავი, რასაც
თეატრმა მიაღწია სწორედ მღელვარების
შედეგი გახლდათ.

ჩვენ, ხელოვნების მოღვაწეებს, გვაწუხებს
თეატრალური კულტურის დაქვეითება. ტექ-
ნიკა, მეცნიერება ვითარდება არაჩვეულებ-
რივი ტემპებით, სხვა დანარჩენი კი მას ვერ
დაეწევა.

ამბ. პიმენოვმა შენიშნა, რომ ჟურნალი
თავისი ახალი გეგმით ითვალისწინებს წერი-
ლებს სახალხო თეატრებზე, სახალხო თეატ-
რებს გააჩნიათ თავიანთი ჟურნალი უმჯობე-
სია იქ დაიწეროს მათ შესახებ.

რესპუბლიკის თეატრების მოღვაწეებს
გვკვირდება სწორი კრიტიკა, რაიმე შეღავათი
ჩვენთვის შეურაცხმყოფილია. ჩვენ გვყავს
ჩვენი ხმელიოგები, კაჩალოგები და თქვენზეა
დამოკიდებული, რომ ეს ხმელიოგები იქნენ
ნამდვილ ხმელიოგებათ.

მოლო თეატრ ჩავაყენოთ ხალხის სამსა-
ხურში, — ეს იქნება უზარმაზარი საქმე, ასეთ
თეატრისაკენ კი ბევრი შეიძლება მოეთხო-
ვოთ“.

კონფერენციაზე სიტყვები წარმოთქვეს
ხელოვნებისმკოდნობის კანდიდატმა ე. გუ-
გუშვილმა, თეატრმკოდნე ნ. შვანგირაძემ,
ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რე-
ჟისორმა გ. ლორთქიფანიძემ, დრამატურგმა
ო. ჩიჯავაძემ, რეჟისორმა მ. მ. გვიამყრელმა.
ისინი შეეხნენ ჟურნალ „თეატრის“ მუშაო-
ბას, მომავლის გეგმას და წამოაყენეს საგული-
სხნო წინადადებები.

კონფერენციის მონაწილეებმა ინტერესით
მოისმინეს ვლ. პიმენოვის საბოლოო სიტყვა,
მან განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი აუდი-
ტორიის და გამოსულ ორატორების მადიდ-
პროფესიონალიზმს და მადლობით მიიღო
შენიშვნები.

ს. მ. ე ლ ე ნ ტ ი

მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს თეატრალური საზოგადოების სასცენო მეტყველების მეთოდური საბჭოს აქტიური წევრი, სასცენო მეტყველების საკითხისადმი მიძღვნილი „მოამბის“ სპეციალური ნომრის (1963 წ. № 1 (123) რედაქტორი, ფილოლოგიური მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სერგი მიხეილის ძე ელენტი.

სერგი ელენტი დაიბადა 1912 წელს ოზურგეთის რაიონის სოფ. ქვენობანში.

ჩოხბატურის ათწლიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1927 წელს იგი შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც წარმატებით დაასრულა ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი და დატოვებული იქნა ასპირანტად ზოგადი ენათმეცნიერების კათედრისთან — ზოგადი და ექსპერიმენტალური ფონეტიკის სპეციალიზით.

ასპირანტი ს. ელენტი თბილისში მუშაობდა პროფ. გიორგი ახვლედიანის და პროფ. ა. შანიძის ხელმძღვანელობით.

ამას გარდა იგი მივიღებულ იქნა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და აზროვნების ინსტიტუტში (ლენინგრადი), სადაც მუშაობდა აკადემიკოს ნიკო მარის, პროფ. კარპეზ ღონღუასა და პროფ. ლევ შჩერბას ხელმძღვანელობით.

ასპირანტურა ს. ელენტმა წარმატებით დამთავრა 1935 წ. და ქართულ დიალექტოლოგიაში დაიცვა დისერტაცია, რომლითაც მან ფილოლოგიური მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მოიპოვა. შესანიშნავი ნაშრომით — „სვანური ენის ფონეტიკის საკითხები“ — მან 1948 წელს მიიღო ფილოლოგიური მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი და მაშინვე მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება.

იგი განუწყვეტილად მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და წლებს განმავლობაში აწარმოებდა ინტენსიურ მეცნიერულ კვლევას ძიებას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტშიც.


პროფესორ ს. ელენტის კალამს ეყუთვნის 70-მდე სამეცნიერო შრომა. რომელთა შორის ათამდე მონოგრაფიაა. სასცენო მეტყველების საკითხებთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მის მიერ გამოქვეყნებული წიგნები „ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურა“ (თბილისი 1963 წ.), „ქართული ენის ფონეტიკა“ (თბილისი, 1956 წ.) და გამოკვლევები: „ქართული სალიტერატურო ენის აქცენტუაციის საკითხები“ (1953 წ.) და სხვა.

ს. ელენტი წლების განმავლობაში აწარმოებდა ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიკური საკითხების შესწავლას ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიებში თბილისში, მოსკოვსა და ლენინგრადში, პრალის უნივერსიტეტის ფონეტიკის ინსტიტუტსა და ბერლინში.

იგი დიდი თეორიული საკითხების შესწავლას კარგად უკავშირებდა ქართული სწორ-მეტყველების, წარმოთქმის, ანუ ორთოეპიის საკითხებს, წყვეტდა ქართული ორთოეპიის პრობლემების საქართველოში პრაქტიკულ საკითხებს. აქედან სრულიად გასაგებია მისი დაუცხრომელი ინტერესი ქართული სასცენო მეტყველებისადმი. ყოველივე ამის გამო ეს სახელგანთქანი ქართველი მეცნიერი მოწვეულ იქნა ჩვენი საზოგადოების სასცენო მეტყველების მეთოდოლოგიურ საბჭოში და იყო კიდევაც ამ საბჭოს უაქტიურესი წევრი.


ს. ელენტი მართებულად წერდა „ამჟამად საესებით ვასაგებია ის დიდი ინტერესი, რომელსაც ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიკურ თავისებურებათა შესწავლისადმი იჩენს ყოველი ინტელიგენტი — მასწავლებელი იქნება ის. მსახიობი, დიქტორი, დეკლამატორი, მეცნიერი, ლექტორი თუ მწერალი. აქცენტუაციისა და მელოდიკის საკითხები შეადგენენ მეტყველების კულტურის ორგანიულ ნაწილს“.

იგი მიუთითებდა იმ ფაქტზე, რომ „ქართული ორთოეპიული საკითხების საფუძვლიანი შესწავლა და დამუშავება ახლახან იწყება“, და



სწორედ პროფ. ს. ჟღენტი იყო ამ დიდი
სასარგებლო მუშაობის ერთი მითავეთაგანი.
პროფ. ს. ჟღენტი სისტემატურად მონა-
წილობდა პიესებისა და ჩვენი რესპუბლიკის
დედაქალაქისა და რაიონების თეატრების
დადგმების ენობრივ გარჩევაში და ფრიად
საყურადღებო რჩევა-დარიგებას აძლევდა
დრამატურგებს, რეჟისორებსა და მსახიო-
ბებს.
მისი მოკრძალებულება და გულისხმიერე-

ბა, ამავე დროს პრინციპულობა და ნათელი
აზრი ჰხიზლავდა მათაც, რომლებსაც სამართ-
ლიანად აკრიტიკებდა.
ფრიად სავალალოა ს. ჟღენტის ასე ადრე
და სრულიად მოულოდნელად გარდაცვალე-
ბა; იგი გამოგვეცალა ძალღონითა და ენერ-
გიით სავსე, მეცნიერული მუშაობისა და
ფართო საზოგადოებრივი მოღვაწეობის დიდი
აღმაგლობის პერიოდში.





КРАТКАЯ АННОТАЦИЯ

Перспективы нового театрального сезона

Репертуарные планы нового театрального сезона (1963/64 г.) обещают много новых пьес, главным образом на современную тему. Самый болезненный вопрос о недостатке современных грузинских пьес. Необходимы поиски и в области новых театральных форм выразительности для того, чтобы из-

бежать повторений уже найденного однажды. Искать нужно во всех областях сложного, синтетического организма театра. Развитие науки и техники меняет представление людей о действительности. Новым людям нужно новое искусство, полное глубоких мыслей и больших чувств.

НАШИ ГОСТИ

Обсуждение гастрольных спектаклей Ордена Ленина Ереванского государственного театра оперы и балета им. А. Спендиарова

Обсуждение состоялось 27 июня 1963 года. Диспут открыла нар. арт. СССР В. Анджапаридзе. Она говорила о большом успехе гастрольных спектаклей, о давнишней дружбе армянского и грузинского народов, о достижениях современного советского театрального искусства.

С докладом о гастрольных спектаклях выступила музыковед Мирра Пичадзе. Она считает, что месячные гастролы создали впечатление о состоянии армянского оперного театра и его симфонического оркестра. Подробно разбирает деятельность ведущих работников театра: дирижеров, хормейстера, затем отдельные постановки и исполнителей. Считает желательным увеличение количества произведений

современных армянских композиторов.

С докладом „Балетные спектакли“ выступила театровед Э. Гугушвили. Подробно разобрав все четыре спектакля, включенных в репертуар, самым значительным она признала „Спартак“ А. Хачатуряна. Характерной особенностью всех балетных спектаклей театра и основным их достоинством считает стремление коллектива к современности хореографического языка.

В прениях приняли участие актеры, музыковеды, режиссеры. Приводятся выдержки из стеннограмм их выступлений.



Гастроли государственного бакинського театра оперы и балета им. Ахундова в Тбилиси

Обсуждение состоялось 29 июля 1963 года. Диспут открыл председатель Театрального общества Грузии нар. арт. респ. Д. Антадзе. Он говорил о славной традиции обмена творческим опытом театров, а также гастролей отдельных певцов.

С докладом о гастрольных спектаклях театра выступила музыковед Т. Квирикадзе. Коротко ознакомила слушателей с историей создания театра, докладчик остановился на оперных постановках театра. Высоко оценила постановки национальных опер, менее качественными признала постановку „Пиковой дамы“ и „Сказок Гофмана“. О балетных спектаклях докладывала

нар. арт. респ. Лили Гварамадзе. Она отмечает высокую постановочную культуру балетной группы театра, отдельных исполнителей, особенно нар. арт. СССР Т. Алмас-заде. Большим достоинством считает то, что балетные постановки в основном осуществлены на национальном материале.

В развернувшихся после докладов прениях приняли участие режиссеры, музыковеды, актеры. с ответным словом выступил директор театра нар. арт. СССР Ниязи, который горячо благодарил присутствующих за дружеский прием и объективность оценки деятельности театра во время гастролей.

Обсуждение гастрольных спектаклей грузинской труппы Цхинвальского Юго-Осетинского Драматического театра им. К. Хетагурова

Театр гастролировал в Тбилиси с 9-17 июля. Диспут состоялся 16 июля. С вступительным словом выступил зам. председателя Президиума Театрального Общества Грузии Г. Якашвили. Докладчик, засл. деят. искусств, режиссер От. Алексишвили подробно разбирает все четыре постановки, включенные театром в гастрольный репертуар. Разбирает литературный материал, его режиссерскую и актерскую интерпретацию, работу художника и композитора. Подробно останавлива-

ется на отдельных эпизодах спектаклей.

Художник К. Кукуладзе подробно остановился на вопросе художественного оформления спектаклей, говорил о достоинствах и недостатках отдельных постановок. Выступающие в прениях другие товарищи отмечают успехи, желают еще больших достижений.

С ответным словом выступил художественный руководитель труппы режиссер Р. Шаптошвили.

ГАСТРОЛЬНЫЕ ТУРНЕ ТБИЛИССКИХ ТЕАТРОВ

Гастроли государственного академического театра оперы и балета им. Палиашвили в Ереване и Баку

Окончив сезон 1963 г. театр отправился на гастроли в Ереван и Баку. После празднично-торжественной встречи на ереванском вокзале 30 мая, оперой З. Палиашвили „Даиси“ нача-

лись гастроли. После спектакля книга впечатлений заполнилась интересными записями. Таким же образом проходили и остальные спектакли.

3 июня театр начал гастроли в Баку



оперой З. Палиашвили „Абесалом и Этери“. Гастроли проходили как праздник, особенно балет „Отелло“.

Коллектив театра посетил ряд пред-приятных, состоялись интересные твор-ческие встречи.

Гастроли двумя спектаклями

В конце сезона театр им. Руставели совершил так называемые „малые гастроли“. Коллектив разделился на две группы, одна поехала по городам и селам западной Грузии с пьесой П. Когоута „Такая любовь“. Другая—

по восточной Грузии с пьесой Л. Саникидзе „Кутаисцы“. Переполненные зрительные залы районных театров и клубов, а также успех, подтвердили полезность таких гастролей как для театра так и для зрителей.

Гастроли театра им. Марджанишвили в Сухуми и Батуми

На гастроли театр повез семь пьес—репертуар, имевший успех на московских и рижских гастролях в 1962 г. Гастроли в Сухуми начались 6 июля. Параллельно со спектаклями на основной сцене, игрались и выездные в более отдаленных городах и селах. Пресса откликалась на все спектакли. Гастроли закончились торжественным

представлением „Медей“ Еврипида на сухумском стадионе. После спектакля состоялся концерт. Через два дня театр приехал в Батуми. И здесь наряду с основными, осуществлялись выездные спектакли. Гастроли закончились 4 августа торжественным представлением „Медей“ и концертом. Пресса и тут была щедра и объективна.

Конференция читателей журнала „Театр“.

30 сентября в Театральном обществе Грузии состоялась конференция читателей журнала „Театр“. Вступительное слово произнес председатель президиума Груз. Театрального Общества Д. Антадзе. С докладом о работе журнала „Театр“ выступил главный редактор журнала В. Пименов. Он говорил о достижениях театрального искусства Грузии, о связях грузинской и русской культур, об общих целях и задачах советского искусства сегодня. Поделится впечатлениями от новых спек-

таклей грузинского театра. Рассказал о задачах журнала „Театр“, о целях на будущее, о мерах улучшения дальнейшей работы.

На конференции выступили В. Жгенти, Д. Алексидзе, Д. Джанелидзе, В. Анджапаридзе, Э. Гугушвили, Н. Швангирадзе, Г. Лорткипанидзе, О. Чиджавадзе, М. Гижимкрели и др. Они говорили о журнале „Театр“ и выставили ряд интересных предложений.

С. М. ЖГЕНТИ

Коротко о неожиданно скончавшемся проф. С. М. Жгенти—активном члене методического совета по вопросам сценической речи при Театральном обществе Грузии. С. Жгенти был

крупным специалистом по грузинскому языку, ему принадлежит около 70 научных трудов, большинство которых посвящено вопросам фонетики.

ს ა რ ჩ ე ვ ი

83.

ახალი თეატრალური სეზონის პერსპექტივები	3
ჩვენი სტუმრები	
ა. სპენდიაროვის სახელობის ერევნის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური თეატრის საგასტროლო სპექტაკლების განხილვა	5
ბაქოს საოპერო თეატრის გასტროლები თბილისში	10
ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახელობის, სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო დრამატული თე- ატრის ქართული დასის საგასტროლო სპექტაკლების განხილვა	13
თბილისის თეატრების საგასტროლო ტურნე	
ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის გასტრო- ლები ერევანსა და ბაქოში	17
გასტროლები ორი სპექტაკლით	19
მარჯანიშვილის სახელობის თეატრის გასტროლები სოხუმსა და ბათუმში	20
ეურნალ „თეატრის“ მკითხველთა კონფერენცია	23
ს. მ. ქლენტი	28

О Г Л А В Л Е Н И Е

ст.

Перспективы нового театрального сезона 3

Наши гости

Обсуждение гастрольных спектаклей Ордена Ленина Ереванского государственного академического театра оперы и балета им. А. Спендиарова 5

Гастроли государственного бакинского театра оперы и балета им. Ахундова в Тбилиси 10

Обсуждение гастрольных спектаклей грузинской труппы Цхинвальского Юго-Осетинского драматического театра им. К. Хетагурова 13

Гастрольные туры тбилиских театров

Гастроли государственного академического театра оперы и балета им. З. Палиашвили в Ереване и Баку 17

Гастроли двумя спектаклями 19

Гастроли театра им. Марджанишвили в Сухуми и Батуми 20

Конференция читателей журнала „Театр“ 23

С. М. Жгенти 28

НА ПРАВАХ РУКОПИСИ

Т О Г

В Е С Т Н И К

ТЕАТРАЛЬНОГО ОБЩЕСТВА ГРУЗИИ

(на грузинском языке)

Тбилиси—1963

№ 3 (25)



საქართველოს
ხელმოწერილი